საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან
№ 83-84 (886)
ოთხშაბათი, 18 მაისი, 1994 წელი
ფასი 9000 კუპონი

გრძელდება ჰუსამედინ ჯინდორუქის ვიზიტი

გრძელდება თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარის ჰუსამედინ ჯინდორუქის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში. 17 მაისს საპატიო სტუმარმა მონაწილეობა მიიღო თბილისში მიმდინარე შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდიუმის სხდომის მუშაობაში.

ჰუსამედინ ჯინდორუქი ეწვია თბილისის 31-ე საშუალო სკოლას და დემირელის სახელობის თურქულ კოლეჯს. ნაშუადღევს იგი ეცნობოდა საქართველოს დედაქალაქის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერა საქართველოს ხელოვნების მუზეუმის ექსპონატები.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოში

გაიმართა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გაფართოებული სხდომა, რომელზეც ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების თაობაზე მოსკოვის 1994 წლის 14 მაისის ხელშეკრულების შესახებ ვრცელი ინფორმაცია გააკეთა ქართული მხარის წევრმა, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ზურაბ ერქვანიამ.

სხდომამ არსებული რეალობიდან გამომდინარე მხარი დაუჭირა მიღებულ შეთანხმებას და დასახა სათანადო ღონისძიებები.

სხდომამ განიხილა და მიიღო დადგენილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მუშაობისა და მისი გაძლიერების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ხელმძღვანელობა შეხვდა აფხაზეთის გალის რაიონიდან დევნილთა დიდ ჯგუფს. გაიმართა გულახდილი და პრინციპული საუბარი აფხაზურ-ქართული კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ მოსკოვის ხელშეკრულების გარშემო.

შემუშავდა კონკრეტული წინადადებანი დევნილთა დაბრუნების პირველი ეტაპის უსაფრთხო და ორგანიზებულად განხორციელების მექანიზმების შექმნის თაობაზე.

რუსეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

ამ დღეებში რუსეთის საელჩოს წარმომადგენელმა საქართველოში ვიცე-პრემიერ ავთანდილ მარგიანს გადასცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრის წერილი. მასში ნათქვამია, რომ დამთავრებულია რუსეთისა და საქართველოს მთავრობებს შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ 1994 წლის 3 თებერვალს დადებული შეთანხმების შესრულების შიდასახელმწიფოებრივი პროცედურა, რადგან, როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ 1994 წლის 22 მარტს რუსეთის საელჩოსადმი მიმართულ წერილში იყო ნათქვამი, საქართველოს მხარემაც უკვე უზრუნველყო შესაბამისი პროცედურის დასრულება.

აღნიშნული ნოტა მიღების დღიდან შევიდა ძალაში.

შეიქმნა სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით შეიქმნა საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროსთან არსებული სამართლებრივი რეფორმის სახელმწიფო კომისია კოდექსებისა და სხვა უმნიშვნელოვანესი კანონპროექტების მოსამზადებლად.

წარმოდგენილი კანონპროექტები, რომლებიც განეკუთვნება სასამართლო რეფორმისათვის აუცილებელი აქტების ნაწილს, მოამზადა სპეციალისტების ჯგუფმა პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის ხელმძღვანელობით.

ინფორმაცია მთავრობის სახლიდან

საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრის — კავკასიური სახლის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს წინადადება იმის შესახებ, რომ საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსთან არსებული კავკასიის ხალხთა კულტურისა და საზოგადოებრივი აზრის კვლევის რესპუბლიკური ცენტრის ბაზაზე შეიქმნა საქართველოს კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — კავკასიური სახლი.

ცენტრი ხელს უწყობს საქართველოს საგარეო და საშინაო კულტურული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას, მეზობელ ქვეყნებთან კულტურულ-ინტელექტუალური, სამეცნიერო-ინფორმაციული კავშირების დამყარება-განმტკიცებას, საქართველოსა და კავკასიაში მშვიდობის, დემოკრატიისა და მეცნიერული პროგრესისთვის აუცილებელი სულიერი საფუძვლების შექმნას; კოორდინაციას უწევს საქართველოში მცხოვრები არაქართველი ეთნოსების მონაწილეობას ქვეყნის კულტურულ ცხოვრებასა და კულტურულ პოლიტიკაში; ეწევა სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას კულტურისა და ბუნების ეკოლოგიის სფეროში; მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს, კავკასიის, რუსეთის, შავი ზღვის აუზისა და სხვა სახელმწიფოთა კულტუროლოგიურ და ეკოლოგიურ საზოგადოებებთან, რომელთა მიზანია კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვა მსოფლიოში.

ცენტრი ეწევა სამეცნიერო-საინფორმაციო და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ბავშვებსა და მოსწავლე ახალგაზრდობაში.

საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალური საარჩევნო კომისიისაგან

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რეგისტრაციაში გაატარა სარეფერენდუმო საკითხი: „უცხადებთ თუ არა უნდობლობას რესპუბლიკის ამჟამინდელ პარლამენტს“, და საინიციატივო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ა. გველესია- ზ. ფრიდონაშვილი, ი. კაკაბაძე, მ. მამალაძე, თ. აბულაძე, შაიშმელაშვილი, გ. ბალაშვილი, ნ. ჩხეიძე, ნ. ფოფხაძე, თეიშვილი.

საინიციატივო ჯგუფის მისამართია: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. 2. რომისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მე-3 სართული. უმუშე- თა საინიციატივო ჯგუფი.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისაგან

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ პარიზში 83 წლისა გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე

ვიქტორ ნოეს ძე ხომერიკი

სამძიმარს უცხადებს მის ჭირისუფლებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

ვიქტორ ხომერიკი მისივე სურვილისამებრ დაიკრძალება საქართველოში.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის ვიქტორ ნოეს ძე ხომერიკის დამკრძალავი კომისია ვალერი ასათიანის თავმჯდომარეობით.

დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში

თენგიზ ჯაფარიძის დაკრძალვის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით შეიქმნა სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქმონტაჟსპეცმშენის“ თბილისის მექანმონტაჟის სამმართველოს უფროსის, დამსახურებული ინჟინრის, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილის, საბჭოთა კავშირის გმირის **თენგიზ ჯაფარიძის** დამკრძალავი კომისია ქვრივლიშვილის თავმჯდომარეობით.

თენგიზ ჯაფარიძეს დაკრძალავენ საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. დაკრძალვის ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

უშედეგო დებატების დღე

პარლამენტის სხდომის დღიური

დაახლოებით ასე შეიძლება შეფასდეს საქართველოს პარლამენტის 17 მაისის სხდომა. ჯერ იყო და პარლამენტარები ერთ საათზე მეტ ხანს ელოდებოდნენ კვორუმის შეკრებას. და ვიცე-სპიკერი ვახტანგ რჩეულიშვილი, რომელიც ამ დღეს სხდომას თავმჯდომარეობდა, იძულებული გახდა პარლამენტარებისათვის გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებები ინგლისის პარლამენტის მუშაობის შესახებ. თურმე, ნუ იტყვით, ინგლისის პარლამენტშიც ხდება ჩვენებური კაზუსები. უფრო მეტიც, მას შემდეგ, როცა ერთმა პარლამენტარმა მეორეს დაგეშილი ძაღლი მიუხსია, იძულებული გახდნენ მიეღოთ კანონი, რომლითაც პარლამენტში ძაღლით შესვლა აკრძალეს. თუმცა, ერთ-ერთი გამონაკლისი მაინც გაკეთებულა — ბრმა პარლამენტარს მეგზურობას უწევს ინგლისური დოგი. მართლაც, დიდი ბედნიერებაა, რომ ჩვენს პარლამენტში ძაღლებით არ დადიან...

ბოლოს და ბოლოს, კვორუმი როგორც იქნა შეგროვდა, მაგრამ თითქმის ყველა პარტია და ფრაქცია, ცალკეული პირი ცდილობდა გაეკეთებინა საზოგადოებრივი თუ პირადი განცხადება. დღის წესრიგი კი მათი ყურადღების მიღმა რჩებოდა. ფაქტობრივად, იგი დაუმტკიცებელი დარჩა საღამოს სხდომამდე, რომელიც ამჯერად უკვე კვორუმის უქონლობის გამო არ გაიმართა.

მთელი დღის დებატების პროცესში, რომელმაც გვერდი აუარა განსახილველად წარმოდგენილ დღის წესრიგს, შეეხნენ მრავალ თავისთავად საინტერესო საკითხს. მათ შორის საქართველოს ტელევიზიას წაუყენეს ბრალდება იმის გამო, რომ ხდება პარლამენტის სხდომების გადაცემების კორექტირება. ითქვა ისიც, რომ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოუხნავი და დაუთესავია მიწების საკმაოდ დიდი ნაწილი. ფრაქცია „რესპუბლიკელებმა“ მოითხოვეს კენჭი ეყარათ 4 აპრილს და 14 მაისს მოსკოვში დადებულ ხელშეკრულებებზე ხელმომწერთა უფლებამოსილებისათვის. დაისვა საკითხი აგრეთვე იმის შესახებ, რომ შესწავლილ და განხილულ იქნეს პარლამენტში 6 სექტემბერს შექმნილი აფხაზეთის აღორძინების საერთაშორისო ფონდის და საქართველოს თავდაცვის ფონდის საქმიანობა.

პარლამენტარმა ფელიქს ალექსანიანმა ახალქალაქის რაიონის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრიობის სახელით გააკეთა განცხადება 15 მაისს თბილისში, სომხურ დრამატულ თეატრში მომხდარი აფეთქების შესახებ, რომელშიც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ეს პროვოკაციული აქტი გავლენას ვერ მოახდენს ქართველ და სომეხ ხალხთა მრავალსაუკუნოვან ტრადიციულ ძმობასა და კეთილმეზობლობაზე.

და, მაინც, მოკამათეთა ყურადღების ცენტრში იყო 14 მაისის მოსკოვის „შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“ აფხაზეთში. ამ საკითხზე განმარტებით გამოვიდა ჯაბა იოსელიანი.

ყოველივე კი იმით დამთავრდა, რომ „რესპუბლიკელებმა“ ბრალი დასდეს პარლამენტის უმრავლესობას სხდომის ჩაშლის მცდელობაში. თავის მხრივ, უმრავლესობამ უმცირესობას ანალოგიური ბრალდება წაუყენა...

საქინფორმის საპარლამენტო კორესპონდენტები.

მსოფლიო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და ამ გზაზე დეზინტეგრაციის ყოველი ცდა განწირულია!

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მესამე სხდომაზე საქართველოს პარლამენტის სპიკერის ვახტანგ გოგუაძის მიერ წარმოთქმული სიტყვა

თქვენო აღმატებულებავ, შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტო, თურქეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარევ, ბატონო ჰუსამედინ ჯინდორუქ, თქვენო აღმატებულებავ, ბატონო სახელმწიფოს მეთაურო, ბატონო ედუარდ, ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარევ, ბატონო ნაჭითარხან,

ბატონო დეპუტატებო!

დღეს თბილისში დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პოლიტიკური ღონისძიება ტარდება. ინიციატივა, ასამბლეის ამ კომისიის სხდომა თბილისში რომ გამართულიყო, თბილისს ეკუთვნის. მადლობა მინდა მოვახსენო ასამბლეას თანხმობისათვის, კომისიის წევრებს — ჩამობრძანებისათვის. ჩვენ, საქართველო, ომის მდგომარეობიდან ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ, მძიმე ჭრილობები არ მოგვიშუშებია, მაგრამ ჩვენთვის ყველაზე კარგი მკურნალი თქვენი ჩამობრძანებაა, მაღალი სტუმრობაა. მსოფლიო პრობლემებზე ფიქრი და საქმე დიდ სტიმულს გვანიჭებს.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა ნაყოფიერად მუშაობს.

მართალია, ჯერჯერობით მისი აქტიური პოლიტიკური მნიშვნელობა ეკონომიკურს აღემატება, მაგრამ ეკონომიკა და პოლიტიკა დღეს ერთმანეთისგან ვის გაუყვია? ასამბლეის მუშაობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ქვეყნებისათვის, რომლებიც ახლახან ყალიბდებიან დამოუკიდებელ სახელმწიფოებად, რომლებიც ყოფილი საბჭოთა კავშირიდან მოვედით და კინაღამ თვითიზოლაციონიზმის გზას დავადექით. მსოფლიო-ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადია და ამ გზაზე დეზინტეგრაციის ყოველი ცდა განწირულია. დღეს სახელმწიფოთა ყველა დიდ საერთაშორისო გაერთიანებებს, — იქნება ეს შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეა, დსთ თუ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, ყველას დიდი მისია აკისრია — ქვეყნებმა დაძლიონ ერთმანეთს შორის განკერძოება-გაუცხოება და მივაღწიოთ ერთიანი საკაცობრიო ინტერესების კიდევ უფრო მაღლა დაყენებას — დღედაღამ ვეძიოთ ქმედითი გზები, რათა მოწოდებები მხოლოდ მოწოდებებად არ დარჩეს..

ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვა მაინც ეკონომიკას ეკუთვნის. მეზობელ ქვეყნებს შორის ეკონომიკური თანამშრომლობა გაცილებით უფრო ხელსაყრელია და აუცილებელი. ნათქვამია: „მეზობელი კარისაო, იმედია ხვალისაო“. მეზობელთან უკმაყოფილებას მტერსაც არ ვუსურვებ. ჩვენი საპარლამენტო ასამბლეა ერთი წლიწადია, რაც მუშაობს. ღმერთმა ქნას, ის მშვიდობიანი სულისკვეთება, ურთიერთგაგების მაღალი კულტურა, რაც ამ ასამბლეაზე სუფევს, გადაედოს მთლიანად ჩვენი ქვეყნების ცხოვრების ყველა კუთხე-კუნჭულს. ეს არის გარანტია ჩვენი ქვეყნების დაახლოებისა, ქვეყნად მშვიდობისა და სტაბილურობის მიღწევისა. განსაკუთრებით მძიმე — გათვალისწინებულზე უფრო მეტი გაუთვალისწინებელი — დაბრკოლებები გვხვდება იმ ქვეყნებს, რომლებიც სოციალისტური ეკონომიკიდან — რევოლუციური ტემპით დავადექით საბაზრო ეკონომიკის გზას. როგორც იტყვიან, ძველ ქალაქში ახალი ქალაქის აშენება უფრო ძნელია, ვიდრე ცარიელ მინდორზე. მაგრამ ბრძნული პოლიტიკური აზრის გატარება, რომელიც რამდენადმე წინ უსწრებს ეკონომიკურს, იმედს გვაძლევს, რომ დიდ ეკონომიკურ ბარიერსაც დავძლევთ.

ბატონებო,

ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომისიის მუშაობას აშკარად მეტ მნიშვნელობას მიანიჭებს მასში ბატონ ჰუსამედინ ჯინდორუქის მონაწილეობა; ჩვენი სპიკერთა სპიკერი, მისი მუშაობის პრაქტიკა ჩვენთვის გამოცდილების კეთილი მაგალითია. საერთოდ, სტამბოლის ღვაწლი აშკარად დიდია, რისთვისაც ყველანი თურქეთის ხელისუფლების მადლიერი ვართ.

კმაყოფილებით მინდა აღვნიშნო, რომ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ასამბლეას, რომლის დამფუძნებელი შეხვედრა სტამბოლში ორი წლის წინათ გაიმართა, სახელმწიფოს მეთაურთა დონეზე, კეთილ მომავალს უწინასწარმეტყველებდა ჩვენი სახელმწიფოს მეთაური. როგორც ხშირად, ამჯერადაც მართლდება ბატონ ედუარდის პროგნოზი დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენათა შესაძლო განვითარების შესახებ.

გულწრფელი სიხარულით გამოვხატავ ასამბლეის ყოველი წევრის ჩამობრძანებას კომისიის მუშაობაში მონაწილეობისათვის. ზოგთან უკვე დავმეგობრდით, ზოგიერთ ახალ სახესაც ვხედავთ. ესეც გვახარებს. ღმერთმა გვიმრავლოს თანამოაზრე კოლეგები. ჩემი შესავალი სიტყვა გარკვეული პატაკია კომისიის თავმჯდომარისადმი, ბატონი ნაჭითარხანისადმი, რომ თბილისი მზად არის, ემსახუროს თქვენს მაღალ ინტერესებს. გთხოვთ შეუდგეთ თქვენი მოვალეობის შესრულებას.

სხდომის მუშაობა დამთავრდა

17 მაისს თბილისში მუშაობა დაამთავრა შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის მესამე სხდომამ. ამ შეხვედრის ფარგლებში გაიმართა მისი ბიუროს სხდომაც, შემუშავებულია რეკომენდაციები რეგიონის ეროვნული პარლამენტებისა და მთავრობებისადმი.

გამართულ პრესკონფერენციაზე გამოვიდნენ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, თურქეთის რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარე ჰუსამედინ ჯინდორუქი, შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეები ნიკოლაე ველიანუ და ზურაბ ანდრიაძე, ამ ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ზეკი ნაჭითარხანი და სხვები. სტუმრებმა მადლობა გადაიხადეს სტუმართმოყვარეობის, შეხვედრის კარგი ორგანიზაციისათვის.

იგი, როგორც მათ თქვეს, ხელს შეუწყობს რეგიონში მსოფლიო ცივილიზაციის ერთიანი სულისკვეთების, დემოკრატიის, პლურალიზმის, კანონიერებისა და ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპების უზრუნველყოფასა და დამკვიდრებას, თანამედროვე და დოვლათიან სახელმწიფოთა მშენებლობას, რომლებიც მძლავრ იმპულსს მიანიჭებენ თანამშრომლობის პროცესს შავი ზღვის რეგიონში. უფრო მეტი, პარტნიორობის ორბიტაში ებმებიან ხმელთაშუა ზღვის, ევროპის ქვეყნებიც, მაგალითად, ასამბლეის შემდეგ სესიაზე მეთვალყურეებად მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ისეთმა ქვეყნებმა, როგორიცაა ეგვიპტე, ისრაელი, პოლონეთი, მთელმა რიგმა ავტორიტეტიანმა საერთაშორისო ორგანიზაციებმა. ამით დასტურდება ბატონ ჯინდორუქის სიტყვები, რომ ეს ასამბლეა სარკმელია, რომელიც ხსნის მშვიდობის, რეალური თანამშრომლობის გზას ეკონომიკისა და კულტურის დარგში. მაგალითად, თურქეთს უკვე ეწვია საქართველოს ათასობით მოქალაქე, მისი წარმომადგენლები სწავლობენ ამ მეზობელი ქვეყნის სასწავლებლებში.

თბილისის შეხვედრის მონაწილეებმა მიიღეს გადაწყვეტილება უახლოეს მომავალში გაიმართოს საერთაშორისო სემინარი თემაზე „მშვიდობა და სტაბილურობა შავი ზღვის რეგიონში“ და აპირებენ ამ აქციის მოწყობაში მხარდაჭერა სთხოვონ სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს. სხვათა შორის, პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ ეს ასამბლეა სულაც არ არის რაიმე დახშული ბლოკი, რომელიც შეიქმნა, მაგალითად, დასავლეთ ევროპისადმი დასაპირისპირებლად. სრულიადაც არა. ეს სამშვიდობო ორგანიზაციაა, რომელიც ეძებს დაახლოების გზებს ყველა სხვა აღიარებულ საერთაშორისო ორგანიზაციასთან.

სიტყვა — სტუმრებს

ლაპარაკობენ შავი ზღვის აუზის ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეის სამართლებრივ და პოლიტიკურ საკითხთა კომიტეტის სხდომის მონაწილენი

ხაჩიმ კარმოკოვი, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი, დელეგაციის ხელმძღვანელი:

— თბილისის ახლანდელმა შეხვედრამ ახალი იმპულსი უნდა მიანიჭოს ჩვენს კონსტრუქციულ თანამშრომლობას, რომლის მიზანია მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, საქმიანი კონტაქტების განვითარება. განვლილი დროის მანძილზე ხომ უკვე მომზადებულია რეკომენდაციათა რამდენიმე პროექტი, რომელიც მალე უნდა დამტკიცდეს. ისინი ეხება, კერძოდ, საბაჟო კანონმდებლობას, რეგიონში კონფლიქტების განხილვისა და მოწესრიგების კონკრეტული მექანიზმის შექმნას.

უდავოა, რომ რეგიონული თანამშრომლობა შესაძლებლობას მოგვცემს მოვახდინოთ ინტეგრირება სტაბილიზაციის მსოფლიო პროცესებში, გავაუმჯობესოთ სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობა. ცუდი პერსპექტივები არ უნდა ჰქონდეს პარტნიორობას აგროსამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავების, კაპიტალური მშენებლობის, ტურიზმის, ბალნეოლოგიის ორგანიზაციის სფეროში. შესაძლებელია დიდი ეფექტიანობით ვითანამშრომლოთ ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და გადამუშავების დარგში, მანქანათმშენებლობაში. ჩვენი თანამშრომლობის სპექტრი საკმაოდ ფართო და მრავალფეროვანია. ეს არის ურთიერთინვესტიციები, მონაწილეობა საერთო პროგრამების შემუშავებაში, ერთობლივ საწარმოთა შექმნა.

ვსარგებლობ შემთხვევით და მინდა დადებითად შევაფასო ახლახან მოსკოვში დადებული შეთანხმება აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების შესახებ. მთლიანად, არ ვეხები რა ცალკეულ დებულებებს, იგი შეიძლება მივიჩნიოთ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად გაჭიანურებული კონფლიქტის გადაწყვეტის გზაზე.

მუსა გასიმოვი, აზერბაიჯანის დელეგაციის მრჩეველი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი:

— რეგიონული და საერთაშორისო ინტეგრაციული პროცესები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენენ შავი ზღვის აუზის ქვეყნებისათვის. სამწუხაროდ ჩვენს რეგიონში დღეს ომი მიმდინარეობს. გარკვეული ძალები ცდილობენ დაარღვიონ აზერბაიჯანის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, გამოიწვიონ აშკარა კონფრონტაცია რუსეთსა და უკრაინას შორის. მოვლენათა განვითარების ამგვარი არასასურველი ხასიათის თავიდან აცილება საპარლამენტო ასამბლეის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ეკონომიკური ინტეგრაციული პროცესები რეგიონში გარდუვალია, რადგან შეუძლებელია მარტომ თავი დააღწიო იმ რთულ მდგომარეობას, რომელშიც ახლა აღმოჩნდნენ ჩვენი ქვეყნები. თავის დროზე შევდიოდი იმ ექსპერტთა რიცხვში, რომლებიც მონაწილეობდნენ ასამბლეის რეგლამენტის, წესდების შემუშავებაში. მას შემდეგ მისმა მონაწილეებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს და მომავალში, მჯერა, კიდევ ბევრი რამ უნდა გაკეთდეს. იმ ქვეყნების ხალხებს, რომლებიც შავი ზღვის გარშემო მდებარეობენ, ისტორიამ განუმზადა ერთმანეთის გვერდით, მეზობლად, მაშასადამე მშვიდობით და თანხმობით ცხოვრება.

ვახტანგ მდივანი, იუნესკო-„მაბის“ პროგრამით ეკოლოგიურ კატასტროფათა თავიდან აცილების პროექტის ხელმძღვანელი:

— უნდა ვიფიქროთ, რომ იმ დოკუმენტების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები, რომელსაც ასამბლეა მიიღებს, გადამწყვეტი იქნება ყველაზე საარსებო პრობლემის — შავი ზღვის გადარჩენის, შავი ზღვის აუზის გაჭუჭყიანების ანტროპოგენურობის განსაზღვრაში. საჭიროა, რომ პოლიტიკოსებმა, ეკონომისტებმა, სამართალმცოდნეებმა, მეცნიერმა-ეკოლოგებმა დაამყარონ ყველაზე მჭიდრო კონტაქტები ერთმანეთთან. მხოლოდ ასეთი თანამეგობრობა ჩაუყრის საფუძველს პრიორიტეტებს, შემუშავებას, ხელს შეუწყობს რესურსების ამოქმედებას ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის გადაწყვეტისათვის.

მეცნიერთა ძალისხმევა უნდა განმტკიცდეს კონკრეტული პროგრამებით, რომელთაგან მე, კერძოდ, აღვნიშნავდი იმას, რომ საჭიროა მოეწყოს შავი ზღვის მონიტორინგული კვლევა, გამოვლინდეს მისი გაჭუჭყიანების წყლის არტერიები. ამ ანალიზის საფუძველზე შესაბამისად უნდა შევიმუშაოთ ნორმატიული აქტები და დოკუმენტები, განვახორციელოთ სანქციები იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც არღვევენ შავი ზღვის ეკოსისტემას.

ბორის ელცინი:

„პრეზიდენტის ჩანაწერები“

როგორც ცნობილია, ცოტა ხნის წინათ გამოვიდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის წიგნი „პრეზიდენტის ჩანაწერები“, რომელშიც ერთი თავი ეძღვნება ბატონ ედუარდ შევარდნაძეს. გადმოგცემთ ამ თავის თარგმანს.

ედუარდ შევარდნაძე არაერთხელ მოქცეულა ისე, რომ პატივი ეცათ მისთვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტზე 1985 წელს მისმა დანიშვნამ ბევრი გააკვირვა. იგი ხომ ერთ-ერთი რესპუბლიკის, თანაც არცთუ ყველაზე დიდი რესპუბლიკის ხელმძღვანელი იყო, რომელსაც არც დიპლომატიური გამოცდილება ჰქონდა.

ამაში უკანასკნელი როლი როდი შეასრულა მისმა ინტელექტუალურმა ნიჭმა, საერთოდ ბევრი ქართველისათვის დამახასიათებელმა არტისტულობამ. მსოფლიო ასპარეზზე იგი თავად გორბაჩოვზე ნაკლები ფიგურა როდი გახდა. თავისი კოლოსალური მუშაობით მან ახალი საბჭოთა პოლიტიკის პრინციპები რეალობად აქცია, ისეთ პოლიტიკად, რომელთანაც შეიძლებოდა საქმის დაჭერა.

ასევე დასამახსოვრებელია შევარდნაძის გადადგომაც — ვაჟკაცური საქციელი პოლიტიკოსისა, რომელმაც ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებელი ფიგურა და გაბედული კაცია, ვინც საზოგადოება გააფრთხილა სამხედრო გადატრიალების საფრთხის თაობაზე.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი შევარდნაძემ გადადგა, როგორც მე ვფიქრობ, მოგვიანებით, როცა საქართველოს პარლამენტის მეთაური, საქართველოს ხელმძღვანელი გახდა. პოლიტიკოსი, რომელიც შეჩვეული იყო ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში მუშაობას, როცა მას ტრადიციული საზოგადოების კანონებით, ტრადიციული ღირებულებებით მცხოვრები ადამიანები ეხვივნენ გარს, უცებ აღმოჩნდა სისხლიანი სამოქალაქო ომის შუაგულში.

სამოქალაქო ომი ახდენს ფსიქიკის დეფორმაციას, ადამიანებს აყენებს არსებობის არანორმალურ პირობებში. სიძულვილი ტყის ხანძარივით არის, როცა გექმნება შთაბეჭდილება, რომ ხანძარი არასოდეს არ დამთავრდება. შევარდნაძე სიძულვილის მძევალი აღმოჩნდა. სამოქალაქო ომში გამარჯვება შეიძლება მხოლოდ ომის გზით, მხოლოდ დიდი მსხვერპლის, მხოლოდ სისხლის ფასად (ეს კარგად ესმოდა, სხვათა შორის, ლენინს). მშვიდობიანი გზით გამარჯვება შეუძლებელია. შევარდნაძის ნებისმიერ სამშვიდობო ინიციატივას, რომელსაც ყურად იღებდნენ დასავლეთის უდიდესი ქვეყნების პრეზიდენტები, ნატოელი სამხედროები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო, თავით ფეხებამდე შეიარაღებული, სიძულვილით შეპყრობილი პარტიზანული რაზმები არაფრად აგდებდნენ. ქვეყანა სისხლში იხრჩობა.

რა ვაჟკაცობა, რა მოთმინება უნდა გქონდეს კაცს ასეთ დროს? რა შეიძლება დაეხმაროს ამ დროს ედუარდ ამბროსის ძეს?

ვფიქრობ, უწინარეს ყოვლისა, დაეხმარა მისი გამოცდილება და კავკასიის ღრმა ცოდნა. არც ისე დიდი ხნის წინათ მან გადადგა ერთი გადამწყვეტი ნაბიჯი. ვლაპარაკობ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლაზე. შევარდნაძემ იცოდა, რომ ქართველთა რეაქცია ამ გადაწყვეტილებაზე ერთნაირი არ იქნებოდა. უნდა ითქვას, არავინ არ არის ისეთი მწვავედ გამოხატული თავმოყვარეობის ადამიანები, როგორიც ქართველები არიან.

ამასთან საქართველოში გამეფებულია მითი, რომ იმპერიული რუსეთის სახელმწიფო ადგას საქართველოს სახელმწიფოს დაშლის პოლიტიკას. თავიანთი უბედურებით ბინდგადაკრული ქართველები ვერ ამჩნევენ, რომ რუსეთი ვერავის ვერ დაუჭერს მხარს ეროვნულ კონფლიქტებში. რუსეთმა საქართველოს მხარე რომ დაიჭიროს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, აღდგება მთელი ჩრდილოეთი კავკასია, ომი მოიცავს ახალ რეგიონებს, ამასთან იგი იქნება მომქანცველი, პარტიზანული, მეტისმეტად ხანგრძლივი და მძიმე.

მხოლოდ საერთაშორისო სამართლის მკაცრ, ზუსტ საფუძველზე შეიძლება ჩაერიო სხვა სახელმწიფოს ცხოვრებაში, თუნდაც ეს სამშვიდობო მიზნებით ხორციელდებოდეს. შევარდნაძემ ეს გაიგო კიდეც, როცა ეს დაგვიანებული არ იყო. მან მიიღო გადაწყვეტილება დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში საქართველოს შესვლის შესახებ.

მომავალი გვიჩვენებს, იყო თუ არა მისი ეს ნაბიჯი ისევე მოფიქრებული და გამართლებული, როგორც ყველა სხვა წინანდელი. მე უკეთესობის მჯერა.

მერვე სვეტი

ვიზიტი გადაიდო

საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ჰეიდარ ალიევის ოფიციალური ვიზიტი საქართველოში ურთიერთშეთანხმებით რამდენიმე დღით გადაიდო.

დამფუძნებელი შეკრება

გერმანიის დედაქალაქ ბონში გაიმართა ეკონომიკური რეფორმებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო კომიტეტის დამფუძნებელი შეკრება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების, დასავლეთ ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის წარმომადგენლები. საქართველოს რესპუბლიკას წარმოადგენდა საქართველოს რესპუბლიკის ვიცე-პრემიერი თემურ ბასილია.

კომიტეტის ხელმძღვანელობას დაევალა მიმართოს შვიდეულის ქვეყნებს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს შემუშავებული პროექტების ფინანსირების უზრუნველყოფისათვის.

შეხვედრა შინაგან საქმეთა სამინისტროში

თურქეთის რესპუბლიკის რიზეს ვილაიეთის გუბერნატორი ეროლ ულურლუ და ტრაპიზონის ვილაიეთის გუბერნატორი ალადინ იუქსელი გუშინ ეწვივნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს. მინისტრის პირველი მოადგილე, პოლიციის გენერალი ჯემალ მიქელაძე მეზობელი ქვეყნის წარმომადგენლებს ესაუბრა საქართველოს პოლიციის მიერ დამნაშავეობასთან ბრძოლის ამ ბოლო ხანს განხორციელებულ ღონისძიებებზე, კერძოდ, საავტომობილო გზებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიღებულ ზომებზე.

შეფერხება სტარტზე

მარტვილის რაიონმა წლეულს 17.000 ტონაზე მეტი ჩაის ხარისხოვანი ნედლეული უნდა მიყიდოს სახელმწიფოს. ჩაის კრეფის სეზონისათვის მეჩაიეები სათანადოდ მოემზადნენ. ასევე მზად შეხვდნენ სეზონს რაიონის ჩაის ფაბრიკები.

— მეურნეობები უკვე შეუდგნენ ჩაის ფოთლის მასობრივ კრეფას, — გვითხრა მარტვილის რაიონის გამგებელმა ლევან ჯღარკავამ, — ნედლეულის პირველი ტონები ფაბრიკებს ჩააბარეს ტუნგის მეურნეობის, ლეხაინდრავოს, ნადიბერაიოს კოლმეურნეობებმა, ვედიდკარის მეურნეობის მეჩაიეებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, სეზონის დაწყების მეორე დღიდანვე, როგორც იტყვიან, სტარტზე მოხდა შეფერხება: რაიონის ჩაის ფაბრიკებს გამოურთეს ელექტროენერგია. და მესამე დღეა ნედლეულს ვერ ღებულობენ, არ ხდება მისი გადამუშავება.

იოსებ გობეჩია.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის“ და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ჯონ შალიკაშვილი:

დასავლეთი უფრო აქტიურად უნდა დაეხმაროს რუსეთს რეფორმების განხორციელებაში

„ყველას, ვინც დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისათვის იბრძვის რუსეთში, უნდა ვუჩვენოთ, რომ დასავლეთის დახმარების იმედი შეუძლიათ იქონიონ“, — განაცხადა პარასკევს ჩიკაგოში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარემ ჯონ შალიკაშვილმა, მაგრამ თუ ეს დახმარება არ იქნება, თქვა მან, თუ რუსეთელები ხელცარიელი დარჩებიან, „ამ შემთხვევაში, მეტად პესიმისტურად ვუყურებთ იმას, თუ რა გზით წავა რუსეთი“.

შეერთებული შტატებისა და სხვა დემოკრატიულ სახელმწიფოთა შანსები — რეალურად შეუწყონ ხელი რუსეთში რეფორმების განხორციელებას, უფრო სწრაფად მცირდება, ვიდრე ადამიანთა უმრავლესობას მიაჩნია, თქვა ჯ. შალიკაშვილმა საზოგადოებრივ ორგანიზაცია „საშუალო ამერიკელთა კომიტეტში“ გამოსვლისას. „თუ ხელიდან გავუშვებთ იმათი დახმარების შესაძლებლობას, ვინც ჯერ კიდევ იცავს დემოკრატიულ ინსტიტუტებსა და საბაზრო ეკონომიკას რუსეთში, — აღნიშნა მან, — უფრო შორეულ პერსპექტივაში, იძულებული გავხდებით, უაღრესად მეტი საფასური გადავიხადოთ“.

„ყველაზე სერიოზული საფრთხე და ამავე დროს, ყველაზე ფართო შესაძლებლობანი ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, — ვარაუდობს გენერალი, — დაკავშირებულია რუსეთთან, რომელსაც შეუძლია მიემხროს ევროპას, სადაც პირველად თანამედროვე ისტორიაში ქრება დაშორიშორების ხაზები“. საფრთხე კი, განაცხადა მან, „ის არის, რომ აქედან არაფერი არ არის რეალიზებული“ და რაღაც ფორმით შეიძლება დავუბრუნდეთ „ცივ ომს“.

როგორც შალიკაშვილმა თქვა, ხანგრძლივი პერსპექტივით მეორე სერიოზული პრობლემა, რომელსაც შეიძლება წააწყდეს ამერიკის შეერთებული შტატები, არის ჩინეთი. რაც შეეხება უახლოეს პერსპექტივებს, შტაბების უფროსთა კომიტეტის თავმჯდომარის აზრით, მსოფლიოში სტაბილურობას ყველაზე მეტ საფრთხეს უქმნის არა ჰაიტი, რომელსაც შეუძლია მალე გახდეს „დასავლეთის ნახევარსფეროს ცხელი წერტილი“, და არა ყოფილი იუგოსლავია, სადაც გრძელდება სისხლისმღვრელი კონფლიქტი, არამედ ისეთი ქვეყნები, როგორიც არის კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, ირანი და ერაყი.

დავალება: 100 მილიონი ბოთლი „ბორჯომი“

მთავრობათშორისი ხელშეკრულებების შესასრულებლად ჩაის, ციტრუსის, ღვინის, კონიაკისა და სხვა სახის პროდუქციასთან ერთად წლევანდელი ოქტომბრის ბოლომდე საჭირო იქნება 100 მილიონი ბოთლი მინერალური წყლის „ბორჯომის“ ჩამოსხმაც.

სახელმწიფო მნიშვნელობის ამ დავალების ხორცშესხმის მიზნით, ბორჯომის რაიონულ გამგეობაში გაიმართა დიდი სჯა-ბაასი, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრი გიორგი კვესიტაძე, მისი მოადგილეები ავთანდილ ყიფშიძე და იუზა ვასაძე, სახელმწიფო გაერთიანება ფირმა „კვარცის“ პრეზიდენტი თამაზ სარიშვილი, ამავე ფირმის ტექნიკური დირექტორი თეიმურაზ მაისურაძე, მინერალური წყლების რესპუბლიკური გაერთიანების უფროსი ზაურ ჩანჩიბაძე, სურამისა და ბორჯომის მინის ტარის, მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნების ხელმძღვანელები, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს მრჩეველი, ბრიტანეთის მთავრობის ტექნიკური დახმარების ნოუ ჰაუს ფონდის წარმომადგენელი პოლ სტრონგი.

ბორჯომის რაიონული გამგეობის თავმჯდომარის ჯუმბერ კურტანიძის, მინის ტარისა და მინერალური წყლის ჩამომსხმელი ქარხნების ხელმძღვანელებმა თავიანთ ინფორმაციებში ყურადღება გაამახვილეს გაზითა და ელექტროენერგიით შეუფერხებელი მომარაგების აუცილებლობაზე, რაც მთავრობის დახმარებას საჭიროებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, სახელმწიფო დავალების შესრულებას საფრთხე ემუქრება.

თათბირის მონაწილეებმა დასახეს გზები 100 მილიონი ბოთლი „ბორჯომის“ ჩამოსხმისათვის საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად.

— მინის ტარის ქარხნების ნედლეულით მომარაგებისათვის ჰაერივით გვჭირდება 4 მილიარდზე მეტი რუსული მანეთი, რადგან, ნედლეული რუსეთიდან უნდა შემოვიტანოთ, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრმა გიორგი კვესიტაძემ. — ამ თანხის ნედლეულის შესაძენად 15 მილიონი ბოთლი „ბორჯომის“ რეალიზაცია იქნება საჭირო. იმას უნდა მივაღწიოთ, რომ „ბორჯომი“ საქართველოს სადარბაზო ბარათი გახდეს საერთაშორისო არენაზე, ამას პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს, რადგან ჩვენი რესპუბლიკის ავტორიტეტის ზრდას შეუწყობს ხელს.

— დადებით მოვლენად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ „ბორჯომის“ ჩამომსხმელი ქარხნების ბაზაზე შეიქმნა დამოუკიდებელი კონცერნი, რომელიც მომავალში თვითონ გადაწყვეტს ყველა პრობლემას, და სწრაფად გაიკაფავს გზას საერთაშორისო ბაზრისაკენ. მას კურორტ ბორჯომისათვის და, საერთოდ, დამოუკიდებელი საქართველოსათვის მნიშვნელოვანი ვალუტის მოტანა შეუძლია, — აღნიშნა საქინფორმის კორესპონდენტთან საუბარში ბრიტანეთის მთავრობის ტექნიკური დახმარების ნოუ ჰაუს ფონდის წარმომადგენელმა პოლ სტრონგმა.

რობერტ ცუცქირიძე.

ერთი უსამართლო ბრალდების გამო

— **მიმდინარე** წლის აპრილში საქართველოს ტელევიზიის გადაცემაში „პირისპირ“ ქვეყნის პარლამენტის წევრმა ბატონმა თენგიზ კიტოვანმა ერთმნიშვნელოვნად და არაორაზროვნად განაცხადა:

— „თქვენ კარგად იცით, რა გაჭირვებაცაა საქართველოში, შიდა დაძაბულობა თვითონ, ამდენი მკვლელობები და ამდენი გაუხსნელი საქმე, რომელიც დღეს კარგად ვატყობთ, რომ ზოგიერთი ფაქტი არსებობს, მილიციასაც აქვს საბუთები ყველანაირი დამადასტურებელი და იქვე ჩნდება წინააღმდეგობა პროკურატურის, რომელიც არ აძლევს სანქციებს“. (ავტორისეული სტილი დაცულია).

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი უფლებამოსილია განაცხადოს:

— ბატონ თენგიზ კიტოვანის აღნიშნული გამონათქვამი აბსოლუტურად უსაფუძვლოა და არ შეესაბამება სინამდვილეს. მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკის ტერიტორიაზე უაღრესად გამწვავებულია კრიმინოგენური ვითარება, პროკურატურის ორგანოები, როგორც საქალაქო და რაიონული რგოლები, ასევე ცენტრალური აპარატის ქვედანაყოფები, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად, განუხრელად ეწეოდნენ და ეწევიან უთანასწორო ბრძოლას ყველა ჯურის დამნაშავეთა წინააღმდეგ ქვეყანაში სამართლიანობისა და სტაბილიზაციის დამყარების მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უდანაშაულობის პრეზუმფციიდან გამომდინარე, მოქალაქეთა კანონიერი უფლებების ნებისმიერი დარღვევა რესპუბლიკის პროკურატურას უმძიმეს დანაშაულად მიაჩნია, და თვლის, რომ მის წინააღმდეგ ისევე საჭიროა ბრძოლა, როგორც სხვა სამართალდარღვევებთან, ამდენად, ვინმეს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა ან დაპატიმრება ჩვენში გავრცელებული ჭორის თუ საეჭვო მასალების საფუძველზე შეუძლებელია. ამით შეიძლება შეილახოს ადამიანთა უფლებები და ღირსებანი, რაც არანაკლები დანაშაულია სხვა სამართალდარღვევებთან შედარებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რესპუბლიკის პროკურატურა, როგორც დღემდე, ასევე მომავალშიც, მიიღებს ზომებს, რათა მოქალაქეთა მიმართ მცდარად არ იქნეს შერჩეული აღკვეთის ღონისძიებანი დაუსაბუთებელი ან სუსტი მასალების საფუძველზე.

თუ ბატონ თენგიზ კიტოვანს გააჩნია კონკრეტული მასალები კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ, რესპუბლიკის პროკურატურა მზად არის, შეისწავლოს და განიხილოს ისინი და კანონიერი გადაწყვეტილებაც მიიღოს.

საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრი.

პირველად საქართველოში

ბათუმი, (საქინფორმის კორ.). ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან არსებულ რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების აკადემიის სამხედრო-საზღვაო ფილიალში ფიცი დადო ამ სასწავლებლის 34 კურსანტმა. მათი სწავლების ვადა 5 წელია. სპეციალობა კი შეუძლიათ მიიღონ ორი — ხომალდის სამსახურის ოფიცრისა და ინჟინერ-მექანიკოსისა. პირველი სემესტრის დამთავრების შემდეგ კურსანტებს შესაძლებლობა ექნებათ პრაქტიკა გაიარონ სამხედრო გემებზე. ყოველწლიურად ფილიალს ახალი კურსანტები შეემატება.

თამაზ ბენძეხაძე.

თვალსაზრისი

მიზანი—ჰიპერინფლაცია?..

თუ გვინდა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ვიცხოვროთ, მაშინ სათანადო სამართლებრივი ბაზაც უნდა შევქმნათ, განვავითაროთ კონკრეტული გარემო. ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა ცივილიზებული ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელშიც მცირეშემოსავლიანი ოჯახებისა და უმუშევრების ინტერესებიც აუცილებლად გასათვალისწინებელია. ეს მოითხოვს მმართველობითი ორგანოების ჯეროვან კომპეტენტურობას, რაც მათ ჯერჯერობით არ გააჩნიათ. ამას ადასტურებს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ვიზიტები და იმ მეთოდოლოგიური დახმარების ხასიათი, რომელსაც ისინი უწევენ შესაბამის სტრუქტურებს.

თუ ხელისუფლებისა და მსხვილ საწარმოთა სტრუქტურები საკმაოდ კომპეტენტური გახდებიან, მაშინ მოსახლეობისაგან ამა თუ იმ მწვავე საკითხებზე თანხმობის მიღება მნიშვნელოვნად გამარტივდება. ხალხი სიმართლეს ადვილად იგებს და ესა თუ ის გადაწყვეტილებაც ცხოვრებაში იოლად ხორციელდება.

დღეს ჩვენში ყველაზე მწვავე პრობლემა ფასების კატასტროფულად სწრაფი ზრდაა. ასეთ პირობებში ბუნებრივია ნებისმიერ მეწარმეულ საქმიანობას აზრი ეკარგება. ახლა უმეტეს საქონელსა და მომსახურებაზე ფასები თავისუფალია, თუმცა, ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი პროდუქციისა და მომსახურებისათვის ფასებს ჯერ კიდევ სახელმწიფო აწესებს. ასეთია, მაგალითად, პური, ბუნებრივი გაზი, ელექტროენერგია, საქალაქო ტრანსპორტითა და მეტროპოლიტენით მგზავრთა გადაყვანა. საგულისხმოა, რომ მათი მწარმოებლები ფაქტიურად მონოპოლისტები არიან და მათ პროდუქციაზე, მსოფლიო პრაქტიკიდან და ჩვენი კანონებიდან გამომდინარე, ფასი რეგულირებადი უნდა იყოს.

ფასების დაწესების არსებულმა პრაქტიკამ საქგაზის დეპარტამენტი, საქენერგო, პურპროდუქტების კორპორაცია, მეტროპოლიტენი და სხვები ეკონომიკურ დაუძლურებამდე მიიყვანა. თუ ასე გაგრძელდა, მათი აღორძინებისათვის გაცილებით მეტი ძალისხმევა დაგვჭირდება, ვიდრე სწორი ფასწარმოქმნის პოლიტიკის განხორციელების შემთხვევაში. ისე, როგორც წესი, ფასს ჯერ თავად დაინტერესებული ორგანიზაცია ანგარიშობს. შემდეგ შესაბამისი სამინისტროები სწავლობენ და მინისტრთა კაბინეტი მხოლოდ ამის შემდეგ ამტკიცებს. თუ ეს ეხება უმნიშვნელოვანეს პროდუქციას, მაშინ საკითხის განხილვაში შეიძლება სახელმწიფოს მეთაურმაც კი მიიღოს მონაწილეობა. ჰიპერინფლაციის პირობებში ეს იმას ნიშნავს, რომ ფასი თავისი დონით აღარ შეესაბამება შეცვლილ სიტუაციას და საჭიროა ახალი ფასის დადგენა. ეს საზიანო ტრადიციაა, არ შეიძლება სახელმწიფოს ზედა ეშელონის მმართველობითი პერსონალის ძვირადღირებული დრო ფასწარმოქმნის ასეთ ტექნოლოგიას მოხმარდეს.

თუ პრობლემა გვინდა გადავწყვიტოთ, ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ კანონის შესაბამისად მონოპოლისტ საწარმოებს ზღვრული რენტაბელობის დონე უნდა დავუწესოთ, ხოლო ჰიპერინფლაციის პირობებში ფასის განსაზღვრისას, ინფლაციის ტემპი აუცილებლად გავითვალისწინოთ (აღნიშნული კანონი ამას არ ითვალისწინებს). სხვა შემთხვევაში ნებისმიერი ორგანიზაცია ძალიან სწრაფად გაკოტრდება.

სამომავლოდ ესეც არ იკმარებს. აუცილებელია დიფერენცირებული ფასებისა და ტარიფების შემოღება, სადაც გათვალისწინებული იქნება პროდუქციისა და მომსახურების მოცულობის სიდიდე და ხასიათი, ხარისხი, სადღეისო და სეზონური ციკლები და სხვ.

ჩვენში მიმდინარე პროცესებმა ერთ დასკვნამდე მიგვიყვანა: ყოვლად დაუშვებელია, როცა საერთოდ პროდუქტს, მომხმარებელი პროდუქციის თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასში ყიდულობს (იმის მიუხედავად, რომ ცალკეულ შემთხვევებში კონკრეტული საწარმოსათვის შეიძლება ეს მისაღებიც იყოს). საერთოდ კი უნდა ვიზრუნოთ ისეთი ფასწარმოქმნის სისტემის შესაქმნელად, რომელიც მომხმარებელს აიძულებს ყაირათიანად მოიხმაროს ნედლეული, ენერგია.

აქვე უნდა ითქვას, რომ მომხმარებელი ელექტროენერგიის, ბუნებრივ გაზს, კომუნალურ მომსახურებას ნისიად იღებს (მის საფასურს დაგვიანებით იხდის). სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, დაგვიანება ხშირად რამდენიმე თვეს გრძელდება, რაც ჰიპერინფლაციის პირობებში გადასახდელ თანხას მკვეთრად აუფასურებს (იმდენად, რომ გადახდას აზრიც ეკარგება). ამდენად, ვფიქრობ, არსებული ანგარიშსწორების წესი უნდა შეიცვალოს, მომხმარებელმა საფასური პროდუქციის მოხმარებამდე უნდა გადაიხადოს. გადასახადის მოცულობა დამოკიდებული იქნება პროდუქციის ერთეულის ფასსა და სავარაუდო მოხმარების მოცულობაზე. შემოსული თანხის ინფლაციისაგან დაცვა მხოლოდ მომწოდებლის საზრუნავი იქნება. ის ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის მიმწოდებლებთან ანგარიშს უფრო ადვილად გაასწორებს და ამ პროდუქტებით მოსახლეობის უზრუნველყოფაც უფრო სტაბილური გახდება.

ასეთი ანგარიშსწორების პირობებში მიმწოდებელი პასუხისმგებლობას კისრულობს, გაითვალისწინოს მომხმარებლის ინტერესები, დაიცვას პროდუქციის მიწოდების ვადები, რეჟიმი, ხარისხი, საჯარიმო სანქციები და ა. შ. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გაფორმდება ხელშეკრულებით. ამასთან, გაჩნდება იმის წინაპირობა, რომ მიმწოდებელმა მომხმარებლის სათანადო ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფაც ითავოს, რა თქმა უნდა, შესაბამისი ანაზღაურებით.

ასე რომ, უნდა შეიქმნას ჩვენი ცხოვრების ძალზე მარტივი, მაგრამ მეტად საჭირო სამართლებრივი ბაზა.

საბაზრო ეკონომიკა მთელი ყურადღების ბაზრის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე გადატანას გულისხმობს. თუ მწარმოებელი ამას არ გაითვალისწინებს, მას გაკოტრება ემუქრება. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებელია, საწარმოთა რესტრუქტურიზაცია, რომელიც მომხმარებელთან მუშაობის სტილის კარდინალურ შეცვლას მოითხოვს. კონკრეტულად ეს გახლავთ მიმწოდებელთან კონტრაქტების გაფორმება, კონტროლის სისტემის გარდაქმნა, ინფორმაციული სისტემების რეორგანიზაცია და კომპიუტერული სისტემების დანერგვა, სტრატეგიული მართვისა და დაგეგმვის განხორციელება და სხვა.

დღეს მრავლად შეიქმნა ე. წ. დეპარტამენტების სისტემა (საქგაზი, საქენერგო, საქავტო და სხვა). ეს იმას ნიშნავს, რომ სამინისტროებთან ერთად დამატებით გვაქვს კიდევ ანალოგიური სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც საბიუჯეტო დაფინანსებით სარგებლობენ. ცხადია, ასეთი დაწესებულებების გამრავლება კარგს არაფერს მოგვიტანს, უმჯობესია არსებული დეპარტამენტები გარდაიქმნან სააქციო საზოგადოებებად, ჰოლდინგკომპანიებად, მოხდეს მათი რესტრუქტურიზაცია, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირებას.

ცივილიზებული საბაზრო ეკონომიკის შესაქმნელად საჭიროა ღონისძიებები ორი მიმართულებით განხორციელდეს: ზევიდან ქვემოთ და ქვემოდან ზევით. პირველი გულისხმობს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნას. სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, კერძოდ, თანამედროვე ფასწარმოქმნისა და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარებას.

ფასწარმოქმნის პოლიტიკის საფუძველი უკვე არსებობს. ეს არის კანონი ფასებისა და ფასწარმოქმნის საფუძვლების შესახებ, დეკრეტი საქართველოში მონოპოლიური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ და სხვა. ამასთან, ისიც ცხადია, რომ არსებული საკანონმდებლო ბაზა საკმარისი არ არის და იგი სრულყოფას საჭიროებს. თუ გვინდა, რომ ფასწარმოქმნის პოლიტიკა ქმედითი იყოს, საკანონმდებლო ბაზას უნდა შეემატოს კანონები სავაჭრო საქმიანობის ძირითადი პირობების ეკონომიკური ზრდის სტაბილურობის ხელშემწყობის შესახებ. შესაქმნელია მომხმარებელთა ინფორმაციით უზრუნველყოფის სისტემაც.

ეკონომიკა ვერ მოღონიერდება, თუ არ მოხდა ფასების სტაბილიზაცია, ამისათვის კი საჭიროა განხორციელდეს:

ფსიქოლოგიური ხასიათის ღონისძიებები, რაშიც ფასების სტაბილიზაციისთვის ბრძოლაში ხელისუფლების მტკიცე ნება აისახება.

ფასებსა და ხელფასზე პირდაპირი ზემოქმედების ღონისძიებები. იგი გულისხმობს მონოპოლისტ საწარმოთათვის ზღვრული ფასების დაწესებას, პროდუქციის მოხმარების ციკლურობისა და ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით მომხმარებელთა დაცვის ღონისძიებათა განხორციელებას, შეძლებისდაგვარად ხელფასების ზრდის მაქსიმალურ შეზღუდვას.

მეორე რიგის ამოცანათა წრეს მიეკუთვნება ფუნდამენტური ღონისძიებები, კერძოდ, ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება, დაბეგვრის დიფერენცირებული განაკვეთების სიდიდეების დადგენა, დანახარჯების შემცირება, დამატებით ღირებულებაზე გადასახადების დიფერენცირებული განაკვეთების ჩამოყალიბება, კრედიტების გაცემის შეზღუდვა, დანაზოგების გასაზრდელად შესაბამისი ღონისძიებების გატარება და სხვა.

ფასების სტაბილიზაციას ვერ მივაღწევთ, ვერც კუპონს განვამტკიცებთ, თუ კვალიფიციური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა არ განვახორციელეთ. სამწუხაროდ, როგორც კუპონის გაუფასურების ტემპი გვარწმუნებს, აღნიშნული პოლიტიკა კრიტიკას ვერ უძლებს.

საბაზრო ეკონომიკის მოდელის განხილვისას სწავლობენ საქონლის, ფულის, ობლიგაციების და სამუშაო ძალის, ბაზრების ურთიერთდამოკიდებულებას. ამასთან, თუ ვხვდებით იძულებით უმუშევრობას, საქონლის გეგმიური მიწოდების მეტობას (გეგმიურ დანახარჯებთან), მაშინ სახალხო მეურნეობამ შეიძლება წონასწორობას მიაღწიოს.

ასე რომ, ეკონომიკური ზრდის ფაქტორებისათვის შესაქმნელია ფინანსური [illegible] პირველ რიგში თვით სახელმწიფომ უნდა იზრუნოს საკუთარი ობლიგაციების გამოშვების, სახალხო მეურნეობის აქციონირებისა და რესტრუქტურიზაციისათვის. დიდ ძალისხმევას მოითხოვს რეალური სამუშაო ძალის ბაზრის ფორმირება, ხოლო გამოთავისუფლებული სამუშაო ძალისთვის იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც უზრუნველყოფენ უმუშევართა დაცვას, მომზადებასა და გადამზადებას.

ფულის კლასიკური თეორიიდან ცნობილია, რომ ფასების დონის ცვლილების ტემპი ფულის მასის ცვლილების ტემპის ტოლია. ისიც ცნობილია, რომ თუ ინფლაცია შედარებით დაბალი ტემპით ვითარდება, მაშინ ფულს ინფლაციასთან არსებითი კავშირი არა აქვს. ამის უმთავრეს მიზეზად შეიძლება მოგვევლინოს სხვადასხვა ფაქტორი, მაგალითად, ინვესტორების ოპტიმისტური მოლოდინი (რის შედეგად საინვესტიციო ფუნქცია მარჯვნით გადაადგილდება) ან ტრანსფერტული გადასახადების გაზრდა-შემცირება, რის შედეგად სამომხმარებლო ფუნქცია ზევით გადაინაცვლებს. ფულის მასის გაზრდა ამ შემთხვევაში გამოიწვევს აღნიშნული ფუნქციების გადაადგილებას და არა ინფლაციას.

განსხვავებულ სიტუაციას ვხვდებით ჰიპერინფლაციის პირობებში. ცნობილია, რომ ამ პროცესის განვითარებას და შენარჩუნებას მხოლოდ ფულის მასის პროპორციული ზრდა სჭირდება.

ამგვარად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვეულებრივ ინფლაციას და მის შენარჩუნებას აუცილებლად ფულის მასის ზრდა არ სჭირდება. ინფლაცია შეიძლება სხვა ფაქტორებმაც განაპირობონ. სხვა საქმეა ჰიპერინფლაცია, რომელსაც მხოლოდ ფულის მასის პროპორციული ზრდა სჭირდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენთან ჰიპერინფლაცია მთლიანად არსებული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგია და ეს დამსახურებაც მის შემქმნელებს — შესაბამის სახელმწიფო სტრუქტურებს უნდა მივაწეროთ. აქ ისმის კითხვა, რატომ? რა მიზნით?, ამაზე პასუხი, ვფიქრობ, კომპეტენტურ ორგანოებს უნდა მოვკითხოთ.

რამინ მითაიშვილი,
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

აქტუალური ინტერვიუ

ვოცნებობ, ყველა მოქალაქე მესაკუთრე გახდეს

ახლახან თბილისის ექსპერიმენტული ავეჯის ფაბრიკას ვეწვიე. ეს ის საწარმო გახლავთ, რომელიც ჩვენი ეკონომიკის საერთო ნგრევისა და უძრაობის მიუხედავად დღემდე არ გაჩერებულა. აქ დირექტორის მოადგილედ მუშაობს გამოცდილი სპეციალისტი ავთანდილ ნემსწვერიძე, რომელიც აქტიურად ეხმაურება ჩვენს პრესაში გაჩაღებულ დისკუსიას „როგორ ვუშველოთ საქართველოს დანგრეულ ეკონომიკას“. გადავწყვიტე სწორედ მას გავსაუბრებოდი.

— ბატონო ავთანდილ, თქვენს სტატიებში საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და პრივატიზაციის სამთავრობო პროგრამას საკმაოდ მკაცრად აკრიტიკებთ ხოლმე. ჩემი აზრით, ამ მიმართულებით სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის „ამსწინანდელ რადიოინტერვიუში (1994 წლის 25 აპრილი) ბევრი საგულისხმო და საინტერესო აზრია გამოთქმული. მისი აზრით, „რადიკალური შემობრუნებაა საჭირო მესაკუთრისაკენ. მე იმაზე ვფიქრობ და ვოცნებობ, რომ ყველა მოქალაქე მესაკუთრე გახდეს, ყველა მოქალაქეს ჰქონდეს გარკვეული წილი იმ სიმდიდრეში, რომელიც ათეული წლების განმავლობაში იქმნებოდა. ეს იქნება წარმოება, ვაჭრობა, მიწა, თუ ჩვენი სახალხო მეურნეობის სხვა სფერო“. რას იტყვით ამის თაობაზე?

— სახელმწიფოს მეთაური თითქოს ჩემს გულში იჯდა. მეც ვოცნებობ, ყველა მოქალაქე მესაკუთრე გახდეს. ალბათ, მართალი ვიქნები თუ ვიტყვი, რომ ამ ინტერვიუში გამოხატულია ბატონ ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკური ნება. უფრო მეტიც, ამით მან ჩამოაყალიბა საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლისა და რადიკალური ეკონომიკური გარდაქმნების სტრატეგიული პროგრამა.

რა თქმა უნდა, საბაზრო ეკონომიკის ცივილიზებული თამაშის წესებიდან გამომდინარე, მომავალში ყველა ჩვენგანი კერძო მეწარმე და ფერმერი ვერ გახდება, მაგრამ ის კი აუცილებელია, რომ ყველა მოქალაქეს მიეცეს თანაბარი სასტარტო შანსი. ამით შეიქმნება პირობები ჩვენში ინტელექტის შენარჩუნებისა და პროფესიონალიზმის დამკვიდრებისათვის.

— გამოდის, რომ საბაზრო ეკონომიკასა და კერძო საკუთრებაზე გადასვლის სტრატეგიული კურსი უკვე არსებობს. მაშ რატომ ვტრიალებთ მოჯადოებულ წრეში და წინ ვერ წავსულვართ?

— ჩემი აზრით, ეს იმის ბრალია, რომ ვერა და ვერ გავთავისუფლდით ძველი სტერეოტიპებისაგან — ვფიქრობთ ერთს, ვლაპარაკობთ მეორეს და ვაკეთებთ მესამეს. ეს ეხება როგორც კანონშემოქმედთა, ისე აღმასრულებელთა და მრჩეველთა დიდ ნაწილს.

თავი და თავი ის გახლავთ, რომ ვერა და ვერ შეიქმნა ამ საქმის მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზა. ყველა განკარგულებაში, ცალკეულ საკანონმდებლო აქტსა თუ ძირითად კანონმდებლობაში უნდა მოქმედებდეს სტრატეგიული კურსი და, რაც, ალბათ, ძალზე მნიშვნელოვანია, აღსრულების მექანიზმი. ამ მხრივ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს დღევანდელი მოქმედი პრივატიზაციის პროგრამა. ყველასათვის ცნობილია, რომ პრივატიზაციისათვის რიგ სახელმწიფოებში (ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი და სხვა) საჭირო შეიქნა სოლიდური თანხების მოზიდვა და დახარჯვა (გრძელვადიანი კრედიტების, ჰუმანური დახმარებებისა და სხვათა სახით), ჩვენ კი ბიუჯეტის დეფიციტის შევსება პრივატიზაციიდან შემოსული თანხებით განვიზრახეთ. ამჟამად მოქმედი პრივატიზაციის კანონი (განსახელმწიფოებრიობა გაყიდვის გზით, კონკურსით, აუქციონით და სხვა) მორგებულია უშუალო შემსრულებელთა ჯიბეზე და არა სახელმწიფოსა და ხალხის ინტერესებზე.

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საკანონმდებლო ვაკუუმის პირობებში გვინდა განვავითაროთ ეკონომიკის გარდაქმნის სტრატეგიული კურსი. ანდა საკუთრების ფორმის შეუცვლელად გადავიდეთ ახალ საზოგადოებრივ წყობაზე. ეს ასე არ ხდება.

პრივატიზაციის პროცესში, თუ სწრაფი და ეფექტიანი შედეგი გვინდა მივიღოთ, ჩემი ღრმა რწმენით, ნაღდი ფული სრულად უნდა გამოირიცხოს, და მხოლოდ საპრივატიზაციო ჩეკების გამოყენებით განხორციელდეს. ამ მხრივ ინტერესმოკლებული არ არის კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტიის საპროგრამო დოკუმენტები.

— დღეს მთელი ჩვენი საზოგადოება შეშფოთებულია ფასების უზომო გაზრდით, თქვენი აზრით ფასების ლიბერალიზაცია საქართველოში ნაადრევი ღონისძიება, ანდა საერთოდ შეცდომა ხომ არ არის?

— ეს ჩვენთვის მართლაც ნაადრევია, რადგანაც მიმაჩნია, რომ ფასების ლიბერალიზაცია და კერძო საკუთრების დამკვიდრება პარალელური პროცესები უნდა გამხდარიყო, თანაც ფასების ლიბერალიზაცია კერძო საკუთრებიდან უნდა გამომდინარეობდეს და არა პირიქით: ასე მოხდა ბევრგან და მოვლენები ჩვენ ხომ არ დაგველოდებოდა! ფასების ლიბერალიზაციის პროცესს, გვინდა თუ არ გვინდა, მოგვწონს თუ არ მოგვწონს, გვერდს ვერ ავუვლით და ვერც შევაჩერებთ.

— მაშინ წამოიჭრება კითხვა — რა გამოსავალი არსებობს?

— საუბედუროდ თუ საბედნიეროდ — არაფერი. საბაზრო ეკონომიკის მკაცრი კანონებით ფასებს წარმოებასა და მოხმარებას შორის თანაფარდობა არეგულირებს. ამა თუ იმ პროდუქციის დეფიციტის პირობებში, მასზე ფასები და, შესაბამისად — მოგებაც, ძალზე მაღალია. მაგრამ თავისუფალი კაპიტალი (წარმოება იქნება თუ ვაჭრობა) სწორედ ასეთ სფეროებს ეძებს, რის შედეგადაც ხდება ამ დარგის სასწრაფო განვითარება, დეფიციტის აღმოფხვრა და ფასებისა და მოგების სხვა დარგების დონეზე გაწონასწორება.

ასე რომ, საბაზრო ეკონომიკის პირობებში თანხების რეგულირება მხოლოდ და მხოლოდ სწორი სახელმწიფოებრივი პოლიტიკითა და ეკონომიკური მეთოდებით არის შესაძლებელი. სწორედ ეს არის საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა ცენტრალიზებულ დაგეგმარებით ეკონომიკასთან შედარებით. იგი თვითრეგულირებადი, შედარებით ადვილი სამართავია, გამორიცხავს ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ზემოქმედების შესაძლებლობებს.

— კუპონის ინფლაციასთან დაკავშირებით რას იტყოდით? დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ქვეყნის გაკოტრებაში წონადი წვლილი სწორედ კუპონს მიუძღვის.

— პირველ რიგში მინდა განვმარტო, რომ საქმე გვაქვს კუპონის არა ინფლაციასთან, არამედ სუპერინფლაციასთან. ფულის დოზირებული ინფლაციის მოვლენებს ასე თუ ისე თითქმის ყველა ქვეყანაში ვხვდებით. არ გავიმეორებ გაცვეთილ ფრაზებს, რომ კუპონის განმტკიცებისათვის საჭირო იყო წარმოების გამოცოცხლება, არა გვაქვს ოქროს მარაგი და სხვა. რა თქმა უნდა, ეს ძირითადი ფაქტორებია და ფულის კურსზე გავლენას ახდენს, მაგრამ არსებობს შებრუნებული თეორიაც — ფულის მყარი კურსი მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს წარმოების განვითარებას. ასე რომ, ეს ორი ფაქტორი მჭიდრო ურთიერთკავშირშია. რაც შეეხება ოქროს მარაგს, ის ფულის კურსზე პირდაპირი გაგებით გავლენას არ ახდენს. იგი უფრო სახელმწიფოთა დონეზე ურთიერთ ნდობის ფაქტორია. აქ არანაკლებ მნიშვნელოვანია საკუთარი ფულისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებანი — ეროვნული ფულის ერთადერთ საგადასახადო საშუალებად გამოცხადება არა დეკლარაციულად, რაც ჩვენთან მოხდა, არამედ პრაქტიკულად. რა ღონისძიებებია ესენი?

1. ვალუტის გადასახურდავებელი პუნქტები უნდა გაიხსნას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბანკებთან, რომლებიც მათ მუშაობას გააკონტროლებენ. 2. გადასახურდავებელ პუნქტს გამოკრული უნდა ჰქონდეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსი და ოფიციალურად ხელმძღვანელობდეს მისი ყველა პუნქტით — შესყიდვა, გაყიდვა, სხვაობა მომსახურებისათვის. 3. კუპონით ვაჭრობის წესების დამრღვევი კანონით უნდა ისჯებოდეს — პირველ შემთხვევაში გამოტანილი საქონლის მთლიანი კონფისკაცია, მეორე შემთხვევაში — პირადი ქონების კონფისკაცია ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (და არა ჯარიმა). არანაკლებ მნიშვნელოვანი ღონისძიება გახლავთ მკაცრი ფულად-საკრედიტო სისტემა, რაზეც ბევრი ითქვა და დაიწერა.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც: რაც ქართული კუპონის ინფლაცია დაიწყო, სახელმწიფოს ერთხელაც არ ჩაუტარებია მოსახლეობის ანაბრების ინდექსაცია. ჩემი აზრით, ამით კუპონს დაუკარგეს ფულის ერთი ძირითადი ფუნქცია (დაგროვების საშუალება), რამაც ხელი შეუწყო სუპერინფლაციის განვითარებას.

ასე წარმომიდგენია (რა თქმა უნდა, პირობითად) ეროვნული ფულისადმი სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებანი. ჩვენმა სახელმწიფოებრივმა სტრუქტურებმა კი ეროვნულ ბანკთან ერთად ასეთ ღონისძიებათა მაგიერ ქართული კუპონის მკვლელისა და მესაფლავის როლი შეასრულეს.

— მკაცრი შეფასებაა. მაგრამ მარტო შეფასება რას მოგვცემს, თუ გამოსავალიც არ მოვძებნეთ? ახლა ბევრი ამ გამოსავალს სამანეთო ზონაში შესვლით განსაზღვრავს. თქვენ რა აზრისა ხართ?

— გამოსავალი აუცილებლად ჩვენში უნდა ვეძებოთ. მე პირადად სამანეთო ზონაში შესვლა მორიგ ავანტიურად მიმაჩნია. ჯერ ერთი, სამანეთო ზონაში რიგი რეგიონები თვეობით ხელფასს ვერ იღებენ, მეორე — რუსული მანეთი საკმაოდ სოლიდურ ინფლაციას განიცდის, მესამე — სამანეთო ზონაში არ მიგვიღებენ, და მეოთხე — იქ შესვლის შემთხვევაში ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისაგან ნატამალიც აღარ დარჩება. ერთი რამ არ უნდა შეგვეშალოს: სულ სხვაა სახელმწიფოში მანეთის, მარკისა თუ დოლარის პარალელური ბრუნვა და კონვერტაცია (რაც ყველა სახელმწიფოშია და უნდა იყოს კიდეც) და სულ სხვაა სამანეთო ზონაში შესვლა.

— მგონი საუბარი გაგვიგრძელდა. არადა, ძალიან მინდოდა მოკლედ მაინც გეთქვათ ასეთ ექსტრემალურ სიტუაციებში როგორ მოახერხეთ, რომ თქვენი ფაბრიკა არ გაჩერებულა და დღესაც მუშაობს?

— დიახ, ვმუშაობთ, თუ ამას მუშაობას დავარქმევთ. დღემდე არ გავჩერებულვართ უკეთესი მომავლის იმედით. ჩვენი ფაბრიკა (დირექტორი ნოდარ ქვარაია) საშუალო მოცულობის საწარმოა (სულ 130 კაცი მუშაობს). ალბათ, დადებითად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ უმუშევართა არმიის შექმნაში მონაწილეობა არ მიგვიღია. მარტო წლეულს, ოთხ თვეში, 4 მილიარდამდე კუპონის ღირებულების პროდუქცია მივყიდეთ მოსახლეობას, აგრეთვე შევასრულეთ თავდაცვის სამინისტროსა და საპატრიარქოს შეკვეთები. ამავე პერიოდში მილიარდამდე კუპონი მოგება მივიღეთ.

მაგრამ, რა გამოვიდა? კუპონის ინფლაციის ტემპი ისეთია, რომ დაწევა შეუძლებელი გახდა. ნომინალურ გამოსახულებაში სოლიდური საშუალო ხელფასის მიუხედავად მუშა-მოსამსახურეები თითქმის მშიერი გვყავს. ამიტომ უნდა გავითავისოთ ერთი მარტივი ჭეშმარიტება — საერთო სტაბილიზაციის დაუმყარებლად შეუძლებელია ლოკალური სტაბილიზაციისა და, თუ გნებავთ, პირადი ბედნიერების მიღწევაც. მე უბედურებად მიმაჩნია ჩვენი საზოგადოების ის მცირედი ნაწილიც, რომელმაც ამღვრეული წყლის პრინციპით ისარგებლა და დიდი სიმდიდრე ჩაიგდო ხელში.

ჩვენს ფაბრიკას, ისევე როგორც ყველას, დაკარგული აქვს სახელმწიფო საწარმოსათვის დამახასიათებელი ყველა ატრიბუტიკა — ცენტრალიზებული დაგეგმარება, დაფინანსება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება და სხვა. სახელმწიფოს პროტექტორატიდან გამოვედით და არც კერძო მფლობელობაში ვართ. სახელმწიფოსთან მხოლოდ და მხოლოდ საგადასახადო ურთიერთობანი გვაკავშირებს. წარმოების არსებობისათვის საჭიროა ასამდე დასახელების ძირითადი და დამხმარე მასალა. მათგან მხოლოდ სამი დასახელება გვაქვს, დანარჩენ მასალებს თავისუფალი საბაზრო ფასებით ვიძენთ. ასეთი მეთოდით შესაძლებელია მუშაობის გაგრძელებაც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოცულობის გაზრდაც, მაგრამ საერთო დესტაბილიზაციის გარემოში ეს შეუძლებელია — ჩვენი პროდუქცია პირველი მოთხოვნილების საქონელი არ გახლავთ და რეალიზაცია შეწყდება.

სიტყვამ მოიტანა და ერთი რამ აუცილებლად უნდა გითხრათ: ის გარემოება, რომ ჩვენი საწარმო (და არა მარტო ჩვენი!) დღემდე არ გაჩერებულა, საბაზრო ფასებით ნაღდი ანგარიშით იძენს მასალებს და უშვებს პროდუქციას (დღემდე ამით მოვიტანეთ სული) — ემყარება ერთადერთ საკანონმდებლო აქტს — საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის № 522 დადგენილების პრინციპებს. მინისტრთა კაბინეტის მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ბატონი ანზორ ბაბუხადია კი, რომელიც ტენდენციურ ოპონენტად მთვლის, თავის სტატიაში „ისევ კუპონის შესახებ (იხ. 9 აპრილის გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“), გადაუდებელ ღონისძიებათა პირველ პუნქტად ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის, თბილისის მერიისა და დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად ზემოაღნიშნული დადგენილების გაუქმებას მოითხოვს.

— კიდევ ერთი შეკითხვა: — ფაბრიკის კერძო მფლობელობაში გადმოცემის შემთხვევაში მოსალოდნელი ჩიხიდან გამოხვალთ?

— რა თქმა უნდა, არა. პრივატიზაციის დროული და ცივილიზებული მეთოდებით განხორციელება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ერთ-ერთი პირველი, ძირითადი და ფუძემდებლური საკითხია. მაგრამ ყველაფერი ამით არც იწყება და არც მთავრდება. აქაც აუცილებელი იქნება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის ღონისძიებათა მთელი კომპლექსი. პირველი, რითაც უნდა დავიწყოთ ყველა საქმე, სამართლებრივი ბაზის შექმნა გახლავთ. ყოველგვარ აზრს მოკლებულია ძველი ეკონომიკური კავშირების აღდგენის იდეა. შესაძლებელია საწარმოებთან, ფირმებთან, სავაჭრო ბირჟებთან და სხვა ამგვარ სტრუქტურებთან მხოლოდ და მხოლოდ სრულიად ახალი (თავისი ფორმითა და შინაარსით) პირდაპირი საბაზრო კავშირების დამყარება. მეორე, რაც, ალბათ, ძალზე რთული, მაგრამ აუცილებელი. ეს გახლავთ ქვეყნის ფინანსური სფეროს გაჯანსაღება და სხვა ქვეყნებთან ანგარიშსწორების ცივილიზებული ფორმების შემუშავება. მესამე, ქვეყნებთან, ვისთანაც ეკონომიკური ხელშეკრულებები გვაქვს დადებული, აუცილებელია შემუშავდეს და შეთანხმდეს საკითხი საქონლის სატრანსპორტო უსაფრთხოების, დაკარგვა-დაზიანების შემთხვევებში სახელმწიფოებრივ დონეზე მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ. აქვე გამოჩნდება ქვეყნის საერთო სტაბილიზაციის აუცილებლობა. თუ ეს პირობები არ შეიქმნა, საზღვარგარეთის ქვეყნებთან დადებული ეკონომიკური ხელშეკრულებები [illegible] იმუშავებენ, ანდა უკეთეს შემთხვევაში „თვითმფრინავებისა“ „ჩემოდნების“ დონეზე იმუშავებენ. რა თქმა უნდა, ამას მასშტაბური ეკონომიკური შედეგები მოჰყვება.

* * *

ჩვენ დღეს შედეგები გვინდა და არა ხელშეკრულებები. შედეგებს კი მაშინ მივაღწევთ, თუ რეფორმისტული პოლიტიკის თეორიულ წრედიდან როგორმე გამოვალთ და ჩვენს კურთხეულ მიწაზე ადამიანური ნაბიჯით სიარულს ვისწავლით. რაც უფრო [illegible] გადავდგამთ ამ ნაბიჯებს, [illegible]ელს მით უფრო მალე ვეწევით.

ოთარ ხუციშვილი.

აქტუალური ინტერვიუ

როდის გვექნება ქართული პასპორტი?



„წაიკითხეთ და აღივსეთ შურით...“ ალბათ, გახსოვთ ვლადიმირ მაიაკოვსკის ერთი ლექსის ის ტაეპი, გულმოდგინედ რომ გვაზეპირებინებდნენ სკოლებში — გულზე გახკდით, ნახეთ, ჯიბეში საბჭოთა კავშირის მოქალაქის პასპორტი მიდევსო, რომ აგულისებდა „საზიზღარ კაპიტალისტებს“. საბედნიეროდ, ისტორიას ჩაბარდა საბჭოთა იმპერია და ჩვენთვის მალე ისტორიას ჩაბარდება საბჭოთური პასპორტებიც, რომლებითაც დღემდე კიდევ ვსარგებლობთ. როგორც ცნობილია, საქართველოს პარლამენტმა 1993 წლის 25 მარტს მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“, ხოლო მოგვიანებით — კანონი „საქართველოს მოქალაქეთა საზღვარგარეთ გასვლისა და შემოსვლის შესახებ“. შესაბამისად მინისტრთა კაბინეტმა დაამტკიცა სათანადო კანონქვემდებარე აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ საქართველოს მოქალაქეთა, სამუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაციისა და მათთვის პირადობის, ბინადრობის მოწმობებისა და საზღვარგარეთ გასასვლელი ქართული პასპორტების გაცემის წესებს. მალე დაიწყება კიდეც ამ დოკუმენტების გაცემა. ამასთან, დაკავშირებით, „საქართველოს რესპუბლიკის“ კორესპონდენტმა ინტერვიუ სთხოვა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო მუშაობის, ვიზებისა და უცხოელთა რეგისტრაციის სამმართველოს უფროსის მოადგილეს **ბურამ ახალაიას.**

— ვინ დაამზადა ეს პასპორტები და პირადობის მოწმობები, რამდენი სახის პასპორტი გვექნება საქართველოში და ვის მიეცემა ისინი?

— პასპორტები და პირადობის მოწმობები საქართველოს მთავრობის დაკვეთით დაამზადა საფრანგეთის ცნობილმა ფირმამ „ფრანსუა შარლ ობერტურ ფიდუსიერმა“. საქართველოში გვექნება 4 სახეობის პასპორტი: ჩვეულებრივი, დიპლომატიური, სამსახურებრივი პასპორტები და მეზღვაურის წიგნაკი. ჩვეულებრივი პასპორტი მიეცემა საქართველოს ყველა მოქალაქეს; დიპლომატიური პასპორტი — მხოლოდ იმ პირებს, ვისაც აქვს დიპლომატიური სტატუსი; სამსახურებრივი პასპორტი — საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც [illegible] ან კერძო ფირმებისა და ასოციაციების ხელმძღვანელი მივლინებით მიემგზავრებიან საზღვარგარეთ, და რომლებსაც არა აქვთ დიპლომატიური სტატუსი; მეზღვაურის წიგნაკი მიეცემათ მხოლოდ მეზღვაურებს.

— საქართველოში მუდმივად მცხოვრები, მაგრამ მოქალაქეობის არმქონე პირები რომელ დოკუმენტს მიიღებენ საზღვარგარეთ გასასვლელად?

— საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირებს საზღვარგარეთ გასასვლელად მიეცემათ პასპორტის შემცვლელი, ე. წ. პირადობის მოწმობა. მხოლოდ ეს არ არის ის პირადობის მოწმობა, რომელიც გაიცემა საქართველოს მოქალაქეებზე. ეს დოკუმენტი გარეგნული ფორმითა და რეკვიზიტებით პასპორტის იდენტურია, მხოლოდ გარეკანი იქნება განსხვავებული.

— თუ არის რამე განსხვავება ძველსა და ახალ პასპორტებს შორის?

— განსხვავება ძალიან დიდია. ქართული პასპორტები დამზადებულია საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნით. განსხვავება ისიც არის, და ეს მთავარია, რომ ყოფილი სსრკ-ს [illegible] პასპორტები ივსებოდა რუსულ და ფრანგულ ენებზე. ქართული პასპორტები კი შეივსება ქართულად და ინგლისურად.

— რამდენადაც ცნობილია, მოქალაქეებს დაურიგდებათ პასპორტებიც და პირადობის მოწმობებიც. რა საჭიროა ეს უკანასკნელი, როცა მოქალაქეს იქნება პასპორტი?

— როგორც კი დაიწყება საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაცია, საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ პირადობის მოწმობა, უცხოელ მოქალაქეებსა და მოქალაქეობის არმქონე პირებს კი — ბინადრობის მოწმობა. შესაბამისად, საზღვარგარეთ გასასვლელად საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ ქართული პასპორტები, უცხოელი მოქალაქეები ისარგებლებენ თავიანთი ეროვნული პასპორტით, ხოლო მოქალაქეობის არმქონე პირებს მიეცემათ პასპორტის შემცვლელი პირადობის მოწმობა. აქვე კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ეს დოკუმენტი განსხვავებულია იმ პირადობის მოწმობისგან, რომელიც საქართველოს მოქალაქეებს მიეცემათ. უნდა ითქვას ისიც, რომ პირადობის მოწმობები და ბინადრობის მოწმობები გაიცემა საპასპორტო ქვეგანყოფილებებში, მოქალაქეთა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მათი რეგისტრაციისას. მხოლოდ ამის შემდეგ გაიცემა პასპორტები. ვიმეორებ, პასპორტის მიღებისთვის აუცილებელია მოქალაქემ გაიაროს რეგისტრაცია და აიღოს პირადობის მოწმობა.

— როდის დაიწყება მოქალაქეთა პასპორტიზაცია და რა ღირება ახალი პასპორტის აღება?

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით კონკრეტულ თარიღს ვერ დაგისახელებთ, რადგან, უამრავი პრობლემაა გადასაწყვეტი. არც სახელმწიფო ბაჟის საკითხია გადაწყვეტილი. არსებობს მინისტრთა კაბინეტის დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვითაც მოქალაქეთა პირადობის მოწმობის აღებისათვის განსაზღვრულია სახელმწიფო ბაჟი მინიმალური ხელფასის 20 პროცენტის ოდენობით, პასპორტის აღებისთვის კი — 15 ამერიკული დოლარის ოდენობით.

— პრობლემები ახსენეთ, ძირითადად მაინც რა პრობლემები უშლის პასპორტების გაცემის დაწყებას?

— ყველაფრის ჩამოთვლა ერთ საგაზეთო სტატიაში ალბათ შეუძლებელია, გამოვყოფ მხოლოდ ძირითად პრობლემებს: უწინარესად იმას, რომ პასპორტები ჩამოსატანია საფრანგეთიდან, მიღებული გვაქვს 19.500 ცალი, რაც ერთი თვის სამუშაოა. ამ დღეებში უნდა შემოვიტანოთ, 150.000 ცალი, თუ საფრანგეთის ფირმის ანგარიშზე 187.500 ამერიკული დოლარი ჩაირიცხება. ეს საკითხი განხილულია მინისტრთა კაბინეტში და ფინანსთა სამინისტროს სათანადო დავალებაც მიღებული აქვს. საჭიროა პასპორტის ლუმინირების დაახლოებით 30-40 ცალი აპარატი. 10 ცალ აპარატს საჩუქრად გვპირდება ჩვენი თანამემამულე ბატონი შ. გედევანიშვილი, რომელიც ხელმძღვანელობს პასპორტების დაბეჭდვას პარიზში. ეს ათი ცალი პირველ ეტაპზე საკმარისია. ბატონი შოთა ასევე უფასოდ გვპირდება 100 ცალი სურათების საჭრელი აპარატის გამოგზავნას.

ყველაზე მთავარი პრობლემაა პასპორტში მონაცემების ჩამბეჭდავი აპარატი — სპეციალური პრინტერი, რომელიც პირველ ეტაპზე 10-15 ცალი გვჭირდება. ერთი ცალი 6000-მდე ამერიკული დოლარი ღირს და, ამდენად, მათი შეძენის საშუალება დღეისათვის ჩვენს მთავრობას არა აქვს. ამ მთავარი საკითხის მოგვარება რესპუბლიკის შემნახველმა ბანკმა და საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია „კრწანისმა“ იკისრეს და ამ დღეებში ალბათ, გადმოგვცემენ კიდეც 4 ცალ ამ ძვირადღირებულ აპარატს.

რაც შეეხება პირადობის მოწმობებს, ურომლისოდაც პასპორტების გაცემა არ შეიძლება, მილიონი ცალი მიღებული გვაქვს, მათი გაცემის დაწყებისთვის საჭიროა ყველა საპასპორტო სამსახურში სხვა ტექნიკურ საშუალებებთან ერთად გვქონდეს ამ მოწმობის ლუმინირების აპარატები, 8 ცალი მიღებული გვაქვს, საჭიროა კიდევ 100-110 ცალის შემოტანა. ერთი ცალის ღირებულება კი 300 ამერიკული დოლარია. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ დასაბეჭდია უამრავი ფორმა, ანკეტა, ჟურნალი... კიდევ უამრავი პრობლემის ჩამოთვლა შეიძლება, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია ამ გრანდიოზული ღონისძიების სირთულისა და მასშტაბების წარმოსადგენად.

ამ დღეებში მზადდება მინისტრთა კაბინეტის დადგენილება საქართველოს მოსახლეობის, საქართველოში მუდმივად მცხოვრებ უცხოელ მოქალაქეთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა რეგისტრაციისა და შესაბამისად მათზე პირადობის მოწმობის, ბინადრობის მოწმობისა და საზღვარგარეთ გასასვლელი ქართული პასპორტების გაცემის კამპანიის დაწყების შესახებ. ამ დადგენილებით განისაზღვრება ყველა სამინისტროსა და უწყების კონკრეტული მოვალეობა ამ დიდმნიშვნელოვანი ღონისძიების მაღალორგანიზებულ დონეზე წარმართვისათვის. აქვე ყველას საყურადღებოდ უნდა განვაცხადო, რომ თუ მოქალაქეთა რეგისტრაციის, შესაბამისად, პირადობის მოწმობისა და პასპორტების გაცემისას დავუშვით უკანონობის, საქართველოში თითქმის წესად დამკვიდრებული ე. წ. გამონაკლისების შემთხვევები, გამოუსწორებელ შედეგამდე მივალთ. ამიტომ ვსარგებლობ შემთხვევით და მივმართავ ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს: დღეს არც ერთ რაიონსა და ქალაქში ამაზე უპირველესი საქმე არ უნდა იყოს. საპასპორტო სამსახურებში წერტილი უნდა დაისვას ნაცნობობით, თანამდებობით და, თუ გნებავთ, გამორჩენის მიზნით პრივილეგიებისა და უკანონო გამონაკლისების მიცემის მანკიერ პრაქტიკას. „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონი არავითარ ასეთ პრივილეგიებს არ ცნობს და არც არავის უნდა გაუჩნდეს იმის პრეტენზია, რომ თავისი დღევანდელი მდგომარეობის გამო კანონის გვერდის ავლით რამე პრივილეგიით ისარგებლოს.

— რა საბუთები დასჭირდება მოქალაქეს ახალი ქართული პასპორტის მისაღებად და აუცილებელია თუ არა ამ პასპორტში ფერადი სურათის ჩაკვრა, ისევე, როგორც ეს არის უცხოეთში?

— ვიმეორებ, პასპორტის მისაღებად აუცილებელია, რომ საქართველოს მოქალაქე იყოს რეგისტრირებული თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ჰქონდეს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. ამას გარდა, მან აუცილებლად უნდა შეავსოს განცხადება-ანკეტა, წარმოადგინოს ორი ფოტოსურათი, სახელმწიფო ბაჟის გადახდის ქვითარი და ასევე დაზღვევის ხელშეკრულების ქვითარი. ფოტოები აუცილებლად ფერადი უნდა იყოს. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოქალაქის პასპორტის მისაღებად არავითარი მოწვევის წარმოდგენა არ დასჭირდება.

— თქვენ დაზღვევა ახსენეთ, რას გულისხმობთ ამაში და რამდენია გადასახდელი?

— დაზღვევის გასაფორმებლად საჭიროა მოქალაქემ გადაიხადოს 10 ამერიკული დოლარი შემნახველ ბანკში და სათანადო ქვითრის წარმოდგენის საფუძველზე პასპორტს მიიღებს საერთაშორისო სადაზღვევო კომპანიის დაზღვევის სერტიფიკატით, რაც ითვალისწინებს მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევას საზღვარგარეთ 1 წლით 5000 ამერიკული დოლარის ფარგლებში.

— თუ შეუძლია მოქალაქეს ახალი ქართული პასპორტით უცხოეთში გასვლა?

— რა თქმა უნდა. უფრო მეტიც — პასპორტი მხოლოდ საზღვარგარეთ გასასვლელად დაგვჭირდება.

— მაინც რამდენი დრო იქნება საჭირო იმისათვის, რომ მთელ რესპუბლიკაში დამთავრდეს ეს უმნიშვნელოვანესი კამპანია და მის მოქალაქეს ჰქონდეს ახალი ქართული პასპორტი?

— დაგეგმილი გვაქვს, რომ თუ რაიმე ხელშემშლელი პირობები არ წარმოიქმნა, მოსახლეობის რეგისტრაცია და მათთვის პირადობის მოწმობისა და ქართული პასპორტების გაცემა 4 წელიწადში დავამთავროთ.

— ახალი პასპორტის ან პირადობის მოწმობის დაკარგვის შემთხვევაში, თუ გაიცემა ამ საბუთების დუბლიკატი და თუ იქნება რამე ჯარიმა?

— ასეთ შემთხვევაში, მოქალაქე მიიღებს ახალს, მხოლოდ გარკვეული პროცედურის შემდეგ. მაგრამ გადაიხდის სახელმწიფო ბაჟს ორმაგი ოდენობით.

— ზოგიერთები ლაპარაკობენ, რომ ახალ ქართულ პასპორტში ქორწინების რეგისტრაციის შემდეგ ჩაიკვრება ცოლ-ქმრის ფოტოსურათი და ბავშვის ჩაწერასთან ერთად შვიდ წლამდე ასაკის ნორჩის სურათიც.

— მცდარი ინფორმაციაა. პასპორტს მიიღებს ყველა სრულწლოვანი მოქალაქე, ე. ი. 18 წლის ასაკიდან. რაც შეეხება ბავშვებს, თუ ისინი საზღვარგარეთ მიჰყავთ მშობლებს, 7 წლამდე ასაკისანი ჩაეწერებიან ერთ-ერთი მშობლის პასპორტში უფოტოსურათოდ, 7-დან 18 წლამდე ასაკისანი კი — ფოტოსურათით.

• • •

სურათებზე: — (მარცხნივ) **საპასპორტო განყოფილების ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი მ. გაგნიძე ახალი ქართული საზღვარგარეთის პასპორტით. მარჯვნივ — (ზემოთ) ტექნიკურ განყოფილებაში კომპიუტერში შეჰყავთ გაცემული პასპორტები; (ქვემოთ) — საპასპორტო განყოფილების უფროსი ნ. დაბაბიშვილი გადასცემს პასპორტს უცხოეთში მიმავალ მოქალაქეს.**

სიმონ კილაძის ფოტო.

გამოვიჩინოთ სიბრძნე, თავშეკავება და სიმშვიდე

საქართველოს სომხური
კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების
გამგეობის განცხადება

ამა წლის 15 მაისს პეტროს ადამიანის სახელობის სომხური სახელმწიფო დრამატული თეატრის მაყურებელთა დარბაზში სპექტაკლის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე მოხდა დიდი ძალის აფეთქება, რომლის შედეგად სხვადასხვა სიმძიმის სხეულის დაზიანება მოუვიდა 16 კაცს, რომელთაგან უმრავლესობა ბავშვებია. თეატრის შენობას მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი მიადგა.

ამჟამად სამი ბავშვი სტაციონარულად მკურნალობს ბავშვთა რესპუბლიკურ საავადმყოფოში და, როგორც ექიმები ამტკიცებენ, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ელის. ორი მოზრდილი რესპუბლიკურ სიდამწვრის ცენტრშია, ამასთან მათი მდგომარეობა მეტად რთულია. დანარჩენებს გაუწიეს სამედიცინო დახმარება და ისინი ამბულატორიულ მკურნალობას გადიან.

ტრაგედიის პირველი წუთებიდანვე ვიგრძენით რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დიდი თანაგრძნობა, მხარდაჭერა და ზრუნვა. ხორციელდება ღონისძიებანი, რათა კვალიფიციური სამედიცინო დახმარება გაუწიონ დაშავებულებს, აღდგეს თეატრისათვის მიყენებული მატერიალური ზიანი.

ჩადენილია ტერორიზმის მორიგი აქტი, რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული ცინიზმით. იგი სავსებით გარკვეულ მიზანს ისახავს — გამოიწვიოს მრავალი მსხვერპლი მშვიდობიან, ყოვლად უდანაშაულო ადამიანთა შორის, რათა სახელი გაუტეხოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, პროვოკაციულად გამოიწვიოს მორიგი ეთნოკონფლიქტი, ქვეყანა ჩაითრიოს ახალ ქაოსსა და დესტაბილიზაციაში.

ვინც უნდა იყვნენ ამგვარი ვანდალიზმის სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები, ესენი არიან საქართველოს მტრები, რომლებიც ადგანან პოლიტიკური ბრძოლის ყველაზე სამარცხვინო გზას.

იმედი გვაქვს, რომ რესპუბლიკის სამართალდამცავი ორგანოები შუქს მოფენენ, გამოავლენენ დამნაშავეებს და მართლმსაჯულება და ღვთის განკითხვა არ ასცდებათ ამ ბარბაროსებს.

სომეხი საზოგადოებრიობა, თეატრის კოლექტივი კვლავაც შეინარჩუნებს მაღალ მორალურ სულისკვეთებას, კიდევ უფრო შეკავშირდება და განაგრძობს თავისი მთავარი კულტურული ცენტრის კეთილ ტრადიციებს საქართველოს რესპუბლიკაში.

მოვუწოდებთ საქართველოს რესპუბლიკაში მცხოვრებ ყველა სომეხს გამოიჩინოს სიბრძნე, თავშეკავება და სიმშვიდე.

დარწმუნებული ვართ, რომ ვერავითარი პროვოკატორები ვერ შეარყევენ ორი მოძმე ხალხის მრავალსაუკუნოვან მეგობრობას, თავად ისტორიამ და დიდმა წინაპრებმა განაპირობეს ვიცხოვროთ მშვიდობიანად და თანხმობით.

საქართველოს სომხური კულტურულ-საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობა.

ფოლადთან ჭიდილში

სოფელ ფუთის მიწათმოქმედებმა ზესტაფონის რაიონში პირველებმა დაამთავრეს სიმინდის თესვა, ხნულს მიაბარეს მაღალხარისხოვანი სათესლე მასალა — ბარაქიანი მოსავლის მოწევის საიმედო გარანტი.

— წარმატება განაპირობა სოფელში ყველაზე მასობრივი პროფესიის წარმომადგენლების — მჭედლების მაღალმწარმოებლურმა შრომამ, — გვითხრა კოოპერატივ „მზიურის“ მთავარმა ინჟინერმა გიორგი ჩიხლაძემ. — მეზობელი სოფლების მშრომლები ყოველდღე აკითხავენ სამჭედლო სახელოსნოს. ზოგი ნაჯახს უკვეთავს, ზოგი სახნისს, თოხს, ბარს, წალდს. ფუთელებს ეამაყებათ, რომ ახალ ძალებს იკრებს დიდი ტრადიცია ხალიბური ჭედვისა, რომლის წყალობითაც „მზიურის“ სამჭედლოში დილიდან გვიან საღამომდე ღვივის ქურა და რკინას შეჭიდებული ვაჟკაცებიც ძალასა და ენერგიას არ ზოგავენ, რათა ვადაზე ადრე შეასრულონ თანასოფლელების ყველა დაკვეთა.

წლევანდელი 4 თვის მაჩვენებლებით ყველას გაუსწრო დავით გელაშვილმა, რომელიც 50 წლის წინათ ეზიარა მჭედლის პროფესიას. პატიოსანი, თავდადებული შრომით მან მიწათმოქმედთა სიყვარულიც დაიმსახურა და ოჯახიც ფეხზე დააყენა. ქალიშვილმა სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ახლა მედპუნქტს განაგებს, ვაჟი კი მამის პროფესიამ გაიტაცა.

დღეისათვის სამჭედლოში ყველაზე ახალგაზრდა თამაზ ცნობილაძეა. ამის მიუხედავად, მას თითქმის მთელი ზესტაფონი იცნობს, როგორც ოქროსხელიან ოსტატს. უფრო დასაფასებელი კი ის არის, რომ თანასოფლელთა სიყვარული და აღიარება მან უმოკლეს დროში — 5 წელიწადში დაიმსახურა. თავად მას კი დიდად აღაფრთოვანებს იმის შეგნება, რომ თავისუფალი და გამთლიანებული ქვეყნის მშენებლობაში თამაზის წონადი წვლილიც იქნება.

ცხოვრების წესად—სიკეთე

დასამალი არ არის, რომ დღეისათვის მოსახლეობის ნახევარზე მეტი შიმშილობს, კატასტროფულად ეცემა ფაქტობრივი შემოსავალი.

ამ საერთო კრიზისისა და ძნელბედობის ჟამს თვალშისაცემია წნორის პურ-პროდუქტების საწარმოო კომბინატის შრომითი გამძლეობა და ენთუზიაზმი.

თავად განსაჯეთ: აქ თითქმის მთელი ზამთრის განმავლობაში შრომითი რიტმი არ შეწყვეტილა, აქ 250-ზე მეტი კაცი მუშაობს, მაგრამ არც ერთი მათგანი სამუშაოდან არ დაუთხოვიათ. ეს საწარმო მთელ აღმოსავლეთ საქართველოს ამარაგებს ფქვილითა და კომბინირებული საკვებით. ამასთან სიღნაღის, დედოფლისწყაროსა და ლაგოდეხის რაიონებში ფქვილის საკითხი ძირითადად გადაწყვეტილია. და თუ დღეისათვის სიღნაღში პური ცხვება და მოსახლეობას მიეწოდება, ამ კომბინატის დამსახურებაა.

საწარმოს თავკაცს ნოდარ ჭაბაშვილს საქმე უფრო გამოუდის ხელიდან, ვიდრე საუბარი, არც თავის გამოჩენა ეხერხება, თავის გამოსაჩენი და სანაქებო კი აქ მართლაც ბევრი რამ გაკეთდა. უშუალოდ ბატონ ნოდარის ამაგით აქ მუშა-მოსამსახურეთათვის ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობებია. საკუთარი პურის საცხობი, 70 კაცზე გათვალისწინებული უფასო სასადილო! ამასთან შეღავათიან, ხელმისაწვდომ ფასებში ძვირადღირებული სასურსათო პროდუქტები — ბრინჯი, შაქრის ფხვნილი, კარტოფილი, ხახვი, თითქმის ყოველდღე აქვთ ახალი ხორცი, თევზი.

ამიტომ უყვართ და აფასებენ წარმოების ხელმძღვანელს ნოდარ ჭაბაშვილს არა მარტო მასთან მომუშავენი, არამედ ყველა, ვისაც მასთან საქმიანი ურთიერთობა ჰქონია. მუშა კაცმა შრომაც იცის და შრომის დაფასებაც.

და რაოდენ სასიამოვნოა, რომ ჯერ კიდევ შეხვდებით თანამოძმის ბედზე ჩაფიქრებულს, ინტელიგენტს, სამეურნეო დარგის ხელმძღვანელს, რომელსაც სიკეთის ქმნა თავის ცხოვრების წესად და კანონად გაუხდია. ასეთი ადამიანები დიახაც ამსუბუქებენ დღევანდელ ჩვენს ყოფას. და სწორედ ასეთია ნოდარ ჭაბაშვილი.

ნაზი იმნაიშვილი,
„სრ“ სპეც. კორ.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის
განცხადება

ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი კრიმინოგენური ვითარების გათვალისწინებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა და კოლეგია 1993 წლის დეკემბრიდან შეუდგა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით ფართომასშტაბიანი ოპერაციების მომზადებასა და განხორციელებას რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში.

საზოგადოებრიობა ინფორმირებულია ამ ღონისძიებების შედეგებზე, მაგრამ თავს ნებას ვაძლევთ კიდევ ერთხელ შევახსენოთ მოსახლეობას ზოგიერთი მნიშვნელოვანი მომენტი:

დაკავებულია მკვლელობის, შეიარაღებული თავდასხმების, ადამიანთა გატაცებისა და სხვა მძიმე დანაშაულობათა ჩადენისათვის 170 პირი. ჩამორთმეულია 220-მდე ერთეული ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის: 185 ავტომატი, 5 ტყვიამფრქვევი, 485 ხელყუმბარა, 28 პისტოლეტი, 6 ერთეული მძიმე ტექნიკა, 1 შვეულმფრენი, რამდენიმე კილოგრამი ნარკოტიკული ნივთიერება, 45 გატაცებული ავტომანქანა, უამრავი საბრძოლო მასალა და ა. შ. ამ ღონისძიებების მეშვეობით შესაძლებელი გახდა წესრიგის აღდგენა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა საავტომობილო ტრასებზე, მათ შორის, მოსაზღვრე რესპუბლიკებისაკენ მიმავალ მაგისტრალებზე, რითაც წესრიგის აღდგენასთან ერთად თავიდან ავიცილეთ გართულებები მეზობელ ქვეყნებთან.

და, რაც მთავარია, მოსახლეობას დაუბრუნდა რწმენა და იმედი, რომ სახელმწიფოს შესწევს უნარი დაამყაროს წესრიგი დამოუკიდებლად.

სამწუხაროა, მაგრამ აღნიშნულმა ღონისძიებებმა მოითხოვა დიდი მსხვერპლი და თავგანწირვა. მარტო წლეულს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულია პოლიციის 25 და დაჭრილია 37 თანამშრომელი. დამნაშავეობასთან ბრძოლის გაძლიერებისა და წესრიგის დამყარების ჩვენს მიერ აღებული კურსის მსხვერპლი გახდა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გია გულუა.

და ამას ვახერხებთ მაშინ, როცა პოლიცია იმყოფება მეტად მძიმე მდგომარეობაში. არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ მოთხოვნებს, სამინისტროს სისტემას არ გააჩნია ფორმის ტანსაცმელი, შეიარაღება, დამცავი, კავშირის, ტრანსპორტის საშუალებები და სხვა. აქვე, როგორც ყველგან, ჩვენთანაც ხელფასი სიმბოლურია. მაგრამ, მიუხედავად აღნიშნულისა, პოლიცია აგრძელებს აქტიურ მუშაობას. სათანადო მომზადების შემდეგ ქალაქ თბილისში ამ დღეებში განხორციელდა ფართომასშტაბიანი ოპერაცია, რომლის შედეგად დაკავებულია 40-მდე დამნაშავე, მათ შორის 12 ძებნილი, რომელთაც ჩადენილი აქვთ სხვადასხვა მძიმე დანაშაული, ჩამორთმეულია 21 ავტომატური იარაღი, 18 პისტოლეტი, 32 ხელყუმბარა, 8 ნაღმტყორცნი, ტყვიამფრქვევი, 12 გატაცებული ავტომანქანა, ნარკოტიკულ ნივთიერებათა მნიშვნელოვანი რაოდენობა და ა. შ.

საზოგადოებრივი აზრი ჩვენს მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიმართ დადებითია, მოსახლეობა მოითხოვს დამნაშავეთა მიმართ ზომების გამკაცრებას, მაფიოზური სტრუქტურების გამოვლენასა და უვნებელყოფას. ასეთივე მხარდაჭერას ვგრძნობთ პარლამენტისა და რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან. მაგრამ გულსატკენია, როდესაც ზოგიერთი ფრაქციის წარმომადგენელი პარლამენტის ტრიბუნიდან დაუსაბუთებელ ბრალდებებს უყენებს პოლიციას. ეჭვქვეშ აყენებს განხორციელებულ ღონისძიებათა კანონიერებას. საგანგაშოა ის, რომ ზოგჯერ უსაფუძვლოდ ცდილობენ ზოგიერთი დამნაშავის დაცვას.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიას აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს ამგვარ ბრალდებათა სრული უსაფუძვლობის შესახებ. იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გარკვეული ძალები არ არიან დაინტერესებული ჩვენს ქვეყანაში წესრიგის დამყარებასა და თავაშვებულ დანაშაულობათა აღკვეთაში, ცდილობენ ფარ-ხმალი დააყრევინონ პოლიციის ორგანოებს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს პირადი შემადგენლობა სათანადო ადეკვატურ რეაგირებას ახდენს ამგვარ არაობიექტურ შეფასებებზე. პოლიციის პროფესიული ვალია მოქალაქეთა უშიშროების, ჯანმრთელობის, სიცოცხლის, მათი ქონების, ღირსების დაცვა, და მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, შინაგან საქმეთა სამინისტრო, მის ხელთ არსებული ყველა ძალისა და საშუალების გამოყენებით, სხვა სამართალდამცავ ორგანოებთან ერთად კვლავ გააგრძელებს და გააძლიერებს ქვეყანაში საზოგადოებრივი წესრიგისა და დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო ღონისძიებებს. იგი უფრო ეფექტური გახდება, თუ პარლამენტი ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ მძიმე ჟამს დროულად შეგვიქმნის შესაბამის სამართლებრივ ბაზას.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგია.
16 მაისი, 1994 წ.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

ევროკავშირსა და ნატოში

ბენილუქსის ქვეყნებსა და ევროგაერთიანებაში საქართველოს რესპუბლიკის საელჩოს პრესსამსახურის ცნობით, მიღწეულია პრინციპული შეთანხმება ევროკავშირსა და რუსეთს შორის „პარტნიორული ხელშეკრულების“ შესახებ მოლაპარაკებაზე. როგორც ევროკავშირის ვიცე-პრეზიდენტმა ბატონმა ბრიტენმა განაცხადა, მხარეები შეთანხმდნენ ისეთ სადავო საკითხებზე, როგორიც არის ბირთვული ნივთიერებებით ვაჭრობა და უცხოური ბანკების საქმიანობა რუსეთში. აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მოლაპარაკება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ივნისის დამლევს დაიწყება.

9 მაისს „დასავლეთ ევროპის კავშირის“ ასოცირებული წევრის სტატუსი მიენიჭა აღმოსავლეთ ევროპის ცხრა ქვეყანას — პოლონეთს, უნგრეთს, ჩეხეთს, სლოვაკეთს, ბულგარეთს, რუმინეთს, ლიტვას, ლატვიასა და ესტონეთს. ევროკავშირის გაერთიანების ეს სტატუსი არ გულისხმობს უშიშროების გავრცელებას აღნიშნულ ქვეყნებზე, თუმცა იგი ითვალისწინებს მჭიდრო სამხედრო და პოლიტიკურ თანამშრომლობას.

„დასავლეთ ევროპის კავშირის“ შეხვედრაზე ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ი. ლუიკმა უკვე გააკრიტიკა რუსეთი იმის გამო, რომ „იგი საფრთხეს უქმნის ქვეყნის უშიშროებას“. თავის მხრივ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკმაყოფილება გამოთქვა „დასავლეთ ევროპის კავშირის აღნიშნული გადაწყვეტილების გამო, რადგან იგი „არ ითვალისწინებს რუსეთის ინტერესებს და ქმნის ევროპის ხელახალი დაშლის საფრთხეს“.

წლეულს, ივნისიდან, 6 თვის ვადით, ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარეობას გაუწევს გერმანია, ამჟამად კი საბერძნეთი თავმჯდომარეობს.

გასულ კვირას ნატოს „მშვიდობისათვის თანამშრომლობის“ პროგრამას შეუერთდნენ ფინეთი, შვედეთი, თურქმენეთი. ვარაუდობენ, რომ 24 მაისს ბრიუსელში ყოფნისას, სადაც 25 მაისს გაიმართება ნატოს ქვეყნების თავდაცვის მინისტრების შეხვედრა, ბატონი პ. გრაჩოვი გააკეთებს განცხადებას „მშვიდობისათვის თანამშრომლობის“ პროგრამაში რუსეთის გაწევრიანების შესახებ. ამის შედეგად წარმოდგენილი იქნება რუსეთისა და ნატოს „სპეციალური“ ურთიერთობის ინიციატივა. ასეთ ურთიერთობას რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გასულ კვირას „პრაგმატული თანამშრომლობა“ უწოდა.

„შეესაბამება მთელი ევროპის ინტერესებს“

ძველ კონტინენტზე უსაფრთხოების ნებისმიერ სტრუქტურას, რომელიც არ ითვალისწინებს რუსეთში სიტუაციის განვითარებას, არა აქვს არსებობის შანსი. ეს განაცხადა ჩეხეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრმა ანტონინ ბაუდიშმა ორშაბათს პრაღაში მიმდინარე სემინარზე „უშიშროება ცენტრალურ ევროპაში — საზოგადოებრიობის აზრი“. როგორც მან თქვა, პატივი უნდა ვცეთ რუსეთის მისწრაფებას დაიკავოს განსაკუთრებული ადგილი ნატოსთან ურთიერთობაში. რუსეთი კვლავინდებურად არის ზესახელმწიფო, იგი მუდამ იყო ევრაზიის წონასწორობის მნიშვნელოვანი ელემენტი. ამ როლის შესრულება მომავალშიც შეესაბამება მთელი ევროპის ინტერესებს.

„რუსული მაფია“ ამერიკის ტერიტორიასაც გადასწვდა

ტერორისტული აქტების საფრთხე ამერიკის შეერთებულ შტატებში ყოველდღიურად იზრდება, და უწინარეს ყოვლისა, იგი „რუსული მაფიისაგან“ მომდინარეობს. ასეთი აზრი აქვს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორს ლუის ფრის.

„რუსეთში, — თქვა მან გაზეთ „ნიუსდეისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, რომელიც ორშაბათს არის გამოქვეყნებული, — იქმნება უდიდესი პრობლემა, რაც ორგანიზებულ დანაშაულთან არის დაკავშირებული. როგორც მან თქვა, რუსეთში, ახლა არის 4 ათასზე მეტი ბანდიტური დაჯგუფება, რომლებშიც გაერთიანებულია 100 ათასზე მეტი დამნაშავე. თანდათანობით ისინი იწყებენ მოქმედებას ამერიკის ტერიტორიაზეც, ზოგჯერ ამყარებენ კავშირს სხვა ქვეყნების მაფიებთან.

ვაშინგტონი გადაჭრით გმობს

ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციამ მკვეთრად დაგმო ჰაიტის უკანონო პრეზიდენტის ემილ ჟონასანის გადაწყვეტილება მიითვისოს პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილებანი და შექმნას მისთვის დამჯერი კაბინეტი.

ორშაბათს გავრცელებულ თეთრი სახლის განცხადებაში, ხაზგასმულია, რომ ვაშინგტონს მიაჩნდა და მიაჩნია, ჰაიტის ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტად ჟან ბერტრან არისტიდი, რომელიც ჰაიტის ახლანდელმა სამხედრო რეჟიმმა დაამხო, ხოლო ერთადერთ კანონიერ პრემიერ-მინისტრად რობერ მალვალა.

გზა დავულოცოთ!

რიალი“ — ქუთაისელ სწავლეთა გაზეთი

[illegible] წელიწადზე მეტია, [illegible] მოსწავლე ახალგაზრ[illegible] საკუთარი გაზეთი აქვთ. [illegible]“ — ასე ჰქვია ამ თავ[illegible]ნიშნულებით საინტერესო, [illegible] გულწრფელობ[illegible] გაზეთს, რომე[illegible] ფურცლებზე ასახავს [illegible] მოზარდების ინტე[illegible] მათს ყოველდღიურობას, [illegible]. აქვე შეხვდებით [illegible] პოეტებისა და პრო[illegible] პირველ მოკრძალე[illegible]ნებს, ერთი სიტყ[illegible], რაც შეიძლე[illegible]დეს და აინტერესებ[illegible], გამრჯე და შრომი[illegible] ახალგაზრდობას. ეს სიტყვები რომ უბრალოდ ქათინაური არ არის, ამაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ გაზეთის გამოცემასთან დაკავშირებული უამრავი ობიექტური ბარიერის მიუხედავად, ეს ყმაწვილები მაინც ახერხებენ თავიანთი უსაყვარლესი საქმე გააგრძელონ. თუმცა, როგორც გაზეთის რედაქტორი, ქუთაისის 35-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელი მანუჩარ კაჭახიძე ამბობს, მათ თამამ წამოწყებას მხარდამჭერები რომ არ გამოსჩენოდნენ, ენთუზიასტებისათვის ზოგიერთი ბარიერი მართლაც რომ გადაულახავი აღმოჩნდებოდა, ასეთ ადამიანთა შორის რედაქტორი, უწინარეს ყოვლისა, ქუთაისის მერს თემურ შაშიაშვილს ასახელებს.

„აშრიალი“ სულხან-საბას განმარტებით ქორსაჭერ ბადეს ნიშნავს. ახალგაზრდა კალმოსნებს მიზნად დაუსახავთ ამ ქორსაჭერი ბადით მოსტაცონ თანატოლებს ლტოლვა უკუღმართი ჩვევებისაკენ და ცხოვრების ნორმალურ ბადეში მოაქციონ ისინი.

რედაქცია, რომელშიც მხოლოდ 16 წლამდე ასაკის მოზარდები მუშაობენ, თანამშრომლობს ქუთაისის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლესთან არსებულ ჟურნალისტიკის წრესთან, ჟურნალისტთა სკოლასთან, კორესპონდენტები აქვს ქალაქის ყველა სკოლასა და ლიცეუმში.

უახლოეს მომავალში გამოვა გაზეთის მეშვიდე ნომერი, რომელიც, მის დამაარსებელთა საამაყოდ, უკვე რესპუბლიკური მასშტაბის იქნება.

ასპარეზზე გამოდის „არილი“

საზოგადოების „ხსოვნის“, დავით აღმაშენებლის, კულტურისა და ისტორიის ძეგლთა დაცვის ინიციატივით ბორჯომში დაისტამბა ახალი გაზეთი „არილი“, რომლის რედაქტორია ადგილობრივი ჟურნალისტი მამია შარიქაძე.

გაზეთის დამფუძნებლებმა ძველ ქართულში შერჩეული სახელწოდება აირჩიეს. თვალსაჩინო ენათმეცნიერის არნოლდ ჩიქობავას განმარტებით არილი მზის შუქს ნიშნავს.

— უმთავრესი მომენტი ის არის, — ამბობს „არილის“ რედაქტორი მამია შარიქაძე, — რომ ჩვენი გაზეთი არის საზოგადოებათშორისო ბეჭდვითი ორგანო და თანაც, ბორჯომის ხეობის ისტორიაში — მეორე. იგი თვეში ორჯერ გამოვა. გაზეთის მიზანია, ხელი შეუწყოს საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის დამყარებას, პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლას, მორალის, ზნეობის, კეთილსინდისიერების, პატრიოტიზმის აღორძინება-დამკვიდრებას, სამშობლოსათვის თავდადებულ შვილთა სახელის უკვდავყოფას, კულტურის ძეგლთა დაცვას, ეკლესია-მონასტრების მოვლა-პატრონობას...

„არილის“ შემოქმედებითი კოლექტივის სახელზე გამოგზავნილ მისალოც ბარათში საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე აღნიშნავს: „მივესალმები „არილის“ დაარსებას და ვუსურვებ ყოფილიყოს დედასამშობლოს ძლიერებისათვის მებრძოლი!

გზა დავულოცოთ „არილს“ — მზის შუქს, პატრიოტული მისიის შესასრულებლად...

რეზო კლდიაშვილი.

ეროვნული

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

„არაგვი ბიზნეს ბანკი“

აგრძელებს
სავალიუტო კრედიტების
გაცემას
შეღავათიანი პროცენტით.
გთხოვთ მოგვმართოთ
ახალ მისამართზე.

„არაგვი ბიზნეს ბანკი“

გაუწყებთ, რომ
ბანკმა შეიცვალა მისამართი.
გთხოვთ მოგვმართოთ
ახალ მისამართზე:
ვაჟა-ფშაველას პროსპექტი, № 16,
მეტრო „სამედიცინო ინსტიტუტთან“,
სასტუმრო „აფხაზეთის“ პირდაპირ,
მშენებლობის სამინისტროს
შენობაში, I სართულზე.
ჩვენი ტელეფონებია:
37-44-15, 37-49-53.

1992 წლის სახელმწიფო შინაგან მომგებიანი სესხის მეთორმეტე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი გაიმართა 1994 წლის 15 მაისს
ქ. თბილისის ჩუღურეთის რაიონში.
მოგება ხვდა შემდეგი ნომრებისა და სერიის
ობლიგაციებს.

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა კუპონებში	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა კუპონებში	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების ოდენობა კუპონებში
00155	I-40	10000	06430	009=	250000	15712	026=	100000
00479	011=	100000	06525	005=	250000	16333	038=	250000
00553	I-40	75000	07354	037=	1000000	16400	019=	250000
00606	I-40	50000	08129	010=	250000	16700	020=	250000
00639	I-40	50000	08515	020=	500000	16704	I-40	50000
00792	028=	250000	08917	035=	100000	16710	I-40	10000
00844	014=	250000	09160	I-40	50000	16745	I-40	50000
00938	036=	100000	09432	I-40	50000	16823	I-40	75000
01001	012=	250000	09763	007=	100000	17160	033=	250000
01013	027=	100000	10192	020=	100000	17317	027=	100000
01048	030=	100000	10218	004=	250000	17350	008=	100000
01110	020=	100000	10423	I-40	75000	17424	010=	250000
01349	039=	100000	10631	I-40	75000	17524	014=	250000
01379	038=	100000	10889	030=	100000	18096	030=	100000
01406	027=	250000	11178	I-40	75000	18105	I-40	50000
01435	I-40	50000	11220	027=	100000	19088	006=	100000
01460	014=	500000	11318	002=	100000	19097	I-40	50000
01605	024=	100000	11358	036=	50000	19490	038=	100000
01740	I-40	50000	11636	005=	100000	19501	I-40	50000
01950	039=	100000	11780	016=	100000	19975	023=	100000
02245	026=	100000	11860	022=	250000	20160	032=	100000
02384	009=	100000	12140	023=	100000	20217	I-40	50000
02547	037=	250000	12157	I-40	75000	20325	012=	100000
03330	016=	500000	12215	006=	100000	20781	037=	100000
03676	023=	100000	12232	040=	100000	20902	025=	75000
03858	I-40	75000	12451	I-40	50000	21327	020=	100000
03867	011=	100000	12979	007=	100000	22423	032=	100000
04194	019=	250000	13185	012=	500000	23160	I-40	50000
04328	016=	250000	13230	017=	100000	23267	[illegible]	100000
04346	022=	100000	13522	031=	100000	23280	[illegible]	250000
04523	038=	250000	13687	023=	100000	23777	[illegible]	100000
04578	011=	100000	14109	I-40	75000	23832	008=	100000
04677	010=	250000	14243	029=	100000	24121	024=	100000
04761	003=	100000	14500	011=	500000	24531	039=	100000
05400	I-40	75000	15100	026=	75000	24566	006=	100000
05921	003=	100000	15504	013=	100000	24775	026=	100000
05957	022=	100000	15532	004=	100000			

= – ობლიგაციის ამ სერიის ყველა დანარჩენ 39 ნომერს მოგება ხვდა 10 000 კუპონი.

ცხრილში მოცემულია მოგებები 5000 კუპონიდ ღირებულ ობლიგაციებზე.

თუ მოგება ხვდა 10000 კუპონად ღირებულ ობლიგაციის ერთ ნომერს, მასზე მოგება გაიცემა ობლიგაციის ნომინალურ ღირებულებასთან ერთად.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1.000.000, 500.000, 250.000, 100.000, 75.000, 50.000, 10.000, კუპონი, მასზე შესაბამისად გაიცემა 1.010.000, 510.000, 260.000, 110.000, 85.000, 60.000, 20.000 კუპონი.

1000 კუპონად ღირებულ ობლიგაციის მოგების შემთხვევაში გაიცემა მოგების მეხუთედი ნაწილი.

მაგალითად, თუ ობლიგაციამ მოიგო 1.000.000, 500.000, 250.000, 100.000, 75.000, 50.000, 10.000 კუპონი – შესაბამისად გაიცემა 200.000, 100.000, 50.000, 20.000, 15.000, 10.000, 2000 კუპონი.

მოგების თანხაში ჩათვლილია მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება,

ეს ცხრილი ოფიციალური დოკუმენტია, რომლის მიხედვითაც შემნახველი ბანკის დაწესებულებები აწარმოებენ მოგებების გაცემას დადგენილი წესით, გაზეთის მომდევნო ნომრის მიღების შემდეგ.

კომისიის თავმჯდომარე – თ. წილოსანი
ჩუღურეთის რაიონის გამგეობის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

თავმჯდომარის მოადგილე – ნ. ქირვალიძე
საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა
სამინისტროს ფასების, ფულის მიმოქცევისა და
საკრედიტო პოლიტიკის სამმართველოს განყოფილების უფროსი

თავმჯდომარის მოადგილე – ო. ბენებაშვილი
ჩუღურეთის რაიონის ფინგანის გამგე

პასუხისმგებელი მდივანი – გ. ქურტანიძე
საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო
კომერციული შემნახველი ბანკის დეპოზიტის,
ანაბრების და უნაღდო ანგარიშსწორების
სამმართველოს მთ. ეკონომისტი

თბილისის მერიის
საქალაქო ლომბარდი
ძვირფასეულობის დაგირავებაზე ყველაზე
შეღავათიან ფასებში ამლევს სესხად
ამერიკულ დოლარებს.

გთხოვთ ისარგებლოთ ლომბარდის მომსახურებით.

ჩვენი მისამართია:
გუდიაშვილის ქ. № 2 ცეკავშირის შენობის გვერდით.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება
„კატრექსი“

ს. ს. გ. „კატრექსს“ გააჩნია 30 წელზე მეტი ხნის გამოცდილება სხვადასხვა წარმოშობის და ლოკალიზაციის ქრონიკული ანთებითი პროცესების:
გაიმორიტების, ჰემოროის, გასტრიტების, საკვერცხეებისა და საშვილოსნოს ყელის ანთებების, წყლულოვანი დაავადებების, პროსტატიტების, კოლიტების, ფსორიაზის და სხვა დაავადებათა მკურნალობისა.

ამ წლების განმავლობაში დადგენილია, რომ ჩვენი პრეპარატი პრაქტიკულად ავთვისებიანი პროცესების საწინააღმდეგო პროფილაქტიკის ერთადერთი საშუალებაა. ამისათვის საჭიროა ყველა ასაკის მოსახლეობამ წელიწადში ორჯერ ჩაიტაროს მკურნალობის 10-დღიანი კურსი.

იმ შემთხვევაში, როცა ავთვისებიანი პროცესი უკვე მიმდინარეობს, ჩვენი პრეპარატის მეშვეობით შეგვიძლია მივაღწიოთ მკვეთრ გაუმჯობესებას: ჩავაქროთ მეტასტაზური პროცესები, მოვუხსნათ ტკივილები, შევუმციროთ (გაქრობამდე) სიმსივნის მოცულობა, აღვადგინოთ იმუნური თვისებები, გავაუმჯობესოთ ორგანიზმის ზოგადი მდგომარეობა.

ჩვენი პრეპარატები ეფექტური კოსმეტოლოგიური საშუალებებია. ჩვენ გაგვაჩნია დიდი გამოცდილება ორგანიზმის ასაკობრივი დარღვევების მკურნალობისა.

ჩვენს მიერ გამოყენებული პრეპარატები სრულიად უვნებელია.

თქვენ გეძლევათ საშუალება გახდეთ ჩვენი პაციენტი. აქ შეგიძლიათ მიიღოთ კონსულტაციები თვით პრეპარატების ავტორთან — ცნობილ მეცნიერ-ბიოლოგ ბატონ ალექსანდრე გაჩეჩილაძესთან ყოველ ორშაბათს და ოთხშაბათს დილის 10 საათიდან 13 საათამდე.

ჩვენი მისამართია: ნუცუბიძის ქ. № 127.
ტელ: 39-60-25, 31-99-26, 31-71-93.

მოსკოვის
სამრეწველო-საფინანსო კორპორაცია
„რონიკა“-ს ფილიალი
„რონიკა-თბილისი“
აცხადებს ანაბრების მიღებას რუსულ მანეთებში.
შემდეგი პირობებით:
1. წლიური 800 პროცენტზე მეტი დარიცხვით.
2. კვარტალური 75 პროცენტი დარიცხვით.
დივიდენდების გაცემა იწარმოებს
წლიურად და კვარტალურად.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ:
ბუდაპეშტის ქ. №22-ა,
II სადარბაზო, VI სართული.
ტელ: 38-91-86
(მეტრო სამედიცინო ინსტიტუტი).

რონიკა
თბილისი

იყიდება
იაფად 2,5 ოთახიანი ბინა თემქაზე, III მიკრორაიონში, ინდუსტრიულ ტექნიკუმთან, 9-სართულიანი სახლის 6 სართულზე, ბინა ახალი გარემონტებულია, არავის უცხოვრია. საწყისი ფასი 3500 დოლარი.
ტელ: 66-38-48 ზურა.

ეძებენ დიდ ნავთობს

„საქნავთობის“ დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ და ამერი კის ნავთობის კომპანია „მაკო ლის“ (ლოს-ანჯელესი) წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტს, რომლის შესაბამისად ეს ფირმა საქართველოში დანერგავს ნავთობის ჭაბურღილების ჰორიზონტალური ბურღვის ტექნოლოგიას, რაც ხელს შეუწყობს ნავთობის მოპოვებას დიდი სიღრმეებიდან, წინათ რომ მიუწვდომელი იყო ჩვეულებრივი ბურღვისთვის.

ამერიკელი ნავთობმრეწველები დაზვერვას პირველხანად აწარმოებენ კახეთის რაიონებში — ნინოწმინდის, მანავის, აგრეთვე რუსთავის დასავლეთით მდებარე ნავთობსარეწებში. შემდეგ დაზვერვის ფართობი გაიზრდება, მოიცავს ახალ რაიონებს დასავლეთ საქართველოში, შავი ზღვის სანაპიროზე.

საქართველო ნავთობით მდიდარია, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს დეპარტამენტის თავმჯდომარემ რევაზ თევზაძემ. — მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ ნავთობი დიდ სიღრმეზეა, მისი მოპოვება ბურღვის სიჩქარის გადიდებას მოითხოვს, რაც ჩვენ ჯერჯერობით არ შეგვიძლია იმის გამო, რომ არა გვაქვს საჭირო მოწყობილობა სიღრმისეული ბურღვისათვის. ამერიკელ ნავთობმრეწველებთან კონტრაქტი სწორედ ამას გააკეთებს ისინი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ, როგორც საძიებო-სადაზვერვო სამუშაოებმა ცხადყო, ამ რაიონებში აღმოჩენილი ნავთობი მეტად სუფთაა, არ აქვს მინარევები და სამრეწველო მნიშვნელობისაც არის.

26 მაისი— დამოუკიდებლობის დღე

არ ივიწყებდნენ...

არქივიდან

1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებამ ისეთი მძლავრი ეროვნული მუხტი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომ 1921 წლის 25 თებერვალმა ვერ შეძლო მისი განეიტრალება და იგი განაგრძობდა მოქმედებას.

ძალით მოსულ კომუნისტურ ხელისუფლებას არ შეეძლო არ გაეთვალისწინებინა ეს ვითარება. იგი შიშობდა, რომ 1921 წელს თუ არ აღინიშნებოდა ეს თარიღი, შეიძლება საპროტესტო გამოსვლები მომხდარიყო და მათ მიმართ რეპრესიების განხორციელება აუცილებელი იქნებოდა. ეს კი არ იყო მისთვის ხელსაყრელი და იგი იძულებული გახდა ანგარიში გაეწია მასის განწყობილებისათვის — მან ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და მიიღო გადაწყვეტილება 26 მაისი აღნიშნულიყო.

სამისოდ საგულდაგულო მოსამზადებელი მუშაობაც ჩატარდა. საკითხი არაერთხელ განიხილეს უმაღლეს პარტიულ ინსტანციებში: საქ. კპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმებზე — 2 მაისს რკპ(ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს წევრების მონაწილეობით, 7 მაისს, და 12 მაისს XI წითელი არმიის წარმომადგენლებთან ერთად, აგრეთვე საქ. კპ(ბ)ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე 6 აპრილს და 23 მაისს.

განხილვის არსი ის იყო, რომ წყდებოდა საკითხი დამოუკიდებელი საქართველოს გამოცხადების დღის — 26 მაისის — აღნიშვნის ფორმის შესახებ. ე. ი. მსჯელობა იყო არა დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნაზე არსებითად, არამედ მხოლოდ მის ფორმებზე. გადაწყვეტილებებიც შესაბამისი მიიღეს — 26 მაისის თარიღის აღნიშვნა ნებადართული გახდა, მაგრამ გარკვეულ ჩარჩოებში, ამასთან გამოყენებულ იქნა თვით ამ იდეის შესარყვნელად: მუშები იმ დღეს თავისუფლდებოდნენ სამუშაოსაგან. მანიფესტაციები და დემონსტრაციები არ დაიშვებოდა. სალამოთი, დახურულ შენობებში, ნებადართული იყო მიტინგების მოწყობა, რომლებზედაც განიმარტებოდა დამოუკიდებლობის კომუნისტური გაგება.

ამ გადაწყვეტილებათა მიღების მიუხედავად, ხელისუფლებას მაინც აწუხებდა ამ დღის მშვიდობიანად ჩავლის საკითხი; გამოსვლების შემთხვევებშიც კი ერიდებოდა მდგომარეობის გამწვავებას, და წინა დღეებში, 23 მაისს, კვლავ მიუბრუნდა ამ პრობლემას, დაადასტურა ადრე მიღებული დადგენილებები ამ საკითხზე, დამატებით მოიწონა შ. ელიავას მიერ დ. ჟლობასთვის (წითელი არმიის ერთი ხელმძღვანელი მუშაკი) მიცემული მითითება 26 მაისს არ გამოეყენებინა შეიარაღებული ძალა.

ასეა თუ ისე, საბჭოთა ხელისუფლებამ 26 მაისის აღნიშვნის ნება 1921 წელს მაინც დართო. იგი ძირითადად ხელისუფლების მიერ გათვალისწინებული სცენარით წარიმართა — მას არ ჰქონდა მასობრივი ხასიათი, იყო სპონტანური და რაიმე პოლიტიკური გართულება არ გამოუწვევია.

მაგრამ როგორც კი თავი ცოტა მყარად იგრძნო, საბჭოთა ხელისუფლებამ მკვეთრად შეცვალა პოლიტიკა ამ საკითხში და 1922 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის დღის რაიმე ფორმით აღნიშვნაზეც კი ოფიციალური გადაწყვეტილება არ მიუღია.

აღნიშვნით კი მაინც აღინიშნა, რა თქმა უნდა, არალეგალურად. პოლიტიკურმა პარტიებმა ამ თარიღთან დაკავშირებით ერთობლივად გამოუშვეს ფურცელი „ქართველ ერს“, რომელსაც გთავაზობთ. მისი ეგზემპლარი პოლიტიკური პარტიების არქივშია დაცული. ქვეყნდება პირველად.

1923 წელს კი 26 მაისის აღნიშვნის მცდელობას საგანგებო კომისია აკონტროლებდა. საგანგებო კომისია ამ დღეს შეიარაღებულ გამოსვლას ელოდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. მაგრამ, საგანგებო კომისიის ცნობით, „გამოსვლა არ შედგა. დღემ მშვიდად ჩაიარა, ექსცესების გარეშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ აქაიქ სამფერი დროშების იშვიათ ფრიალს. დროშები ამოღებულ იქნა და ინციდენტები ამოიწურა ყოველგვარი გართულების გარეშე“.

1924 წლის 26 მაისისათვის საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა გამოუშვა ფურცელი „ქართველ ერს“, რომლის ეგზემპლარიც ინახება პოლიტიკური პარტიების არქივში.

1924 წლის აგვისტოს შემდეგ კი, ცხადია, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების დღის აღნიშვნა პრაქტიკულად შეუძლებელი გახდა და მან მკაცრი კონსპირაციული, ინდივიდუალური ფორმები მიიღო. მაგრამ თაობებმა ესტაფეტა შეინარჩუნეს და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ამ თარიღის აღნიშვნა 80-იანი წლების დასასრულიდან დაიწყო.

ივანე შენგელაია,

საქართველოს პარლამენტის დემოკრატიული აღმშენებლობისა და პოლიტოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე პოლიტიკური პარტიების არქივის დარგში, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ქართველ ერს

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, ქართველი ერი სამი წლის განმავლობაში დიდის კრძალვით და მოწიწებით დღესასწაულობდა.

ერი ზეიმობდა ეროვნულ ჩაგვრისაგან განთავისუფლებას და თავის სუვერენობის აღდგენას, ერი კმაყოფილი იყო მით, რომ ეროვნულ ხომალდს თვით მესაჭეობდა.

ამ დღეს საქართველოს მზე ანათებდა და ათბობდა.

დღეს საქართველო მგლოვიარეა.

ბოლშევიკური თვითმპყრობელობა შემოესია საქართველოს, ქართველ ერს კვლავ ძველი ხიშტი, ძველი მჩაგვრელი მოევლინა. ეროვნული წმიდათა წმიდა შეირყვნა და წაიბილწა. საქართველოს მიწა-წყალზე ეს ხიშტი ძველებურად პარპაშებს და მას მხარს უმშვენებენ ქართველი მოღალატენი. არ დარჩა საქართველოში ოჯახი, რომ გმინვა არ ისმოდეს. საქართველოს ტერიტორია დაქუცმაცდა და ფეშქაშად გაიცა. საქართველოს სიმდიდრე მოსკოვს გაიზიდა. აღიკვეთა ყოველგვარი სამოქალაქო თავისუფლება. ხაძირალებს და გადამთიელებს გადაეცათ ქვეყნის გამგებლობა. დამშეულ ქართველ ხალხის სახლ-კარიდან ხარბად ეზიდებიან უკანასკნელ სარჩოს. საქართველოს საუკეთესო შვილები ციხეებში გამომწყვდეულნი სიცოცხლეს ესალმებიან.

ნუ თუ ერს მარტო გლოვა მართებს? ნუ თუ ქართველი ხალხის მოძალადეებს დაუთმოთ ჩვენი ტურფა ქვეყანა, ჩვენი მომავალი?

საქართველოს დღევანდელმა მდგომარეობამ ევროპის ყველა წრეებში დიდი თანაგრძნობა და გამოძახილი მოიპოვა. საქართველოს ოკუპაცია უსაშინელეს გულისწყრომას და აღშფოთებას იწვევს ევროპა-ამერიკაში.

მაგრამ საქართველოს განთავისუფლების გადამჭრელი სიტყვა მაინც ქართველ ხალხს ეკუთვნის.

ერი არ შეიძლება შედრკეს, ქართველი ხალხი ერთი წუთითაც არ გაიფიქრებს თავისუფლების და დამოუკიდებლობის დროშა დაბლა დახაროს. ის მტკიცე და შეურყეველია დამპყრობელთა და მჩაგვრელთა წინააღმდეგ.

შორს ქართველი ხალხისაგან მოძალადეთა უღელი!

ერი ყოველ წუთს სადარაჯოზე უნდა იდგეს, მისი გუშაგი უნდა ფხიზლობდეს!

დაე, ამ ბრძოლაში მამა დაეცეს, მისი ადგილი შვილმა დაიკავოს; ძმა დაიღუპოს, ის ძმამ შესცვალოს, მეგობარი — მეგობარმა, ამხანაგი — ამხანაგმა. და ასე უწყვეტლივ გრძელდებოდეს ბრძოლა საქართველოს განთავისუფლებამდის.

ქართველი ერი დღეს გლოვობს, მაგრამ არ სტირის. ის ვაჟკაცური თავგამოდებით სდგას ეროვნულ სადარაჯოზე და უცდის იმ დროს, როდესაც ის თავის დიად 26 მაისს კვლავ თავისუფლად და ზეიმით იდღესასწაულებს.

დღეს კი მთელი ქართველი ერი, ერთსულოვანი, მსოფლიოს წინაშე აცხადებს: ქართველი ხალხი მთელ თავის ძალღონეს მიიტანს საქართველოს განთავისუფლების სამსხვერპლოზე, ის იბრძოლებს მანამდი, სანამ არ იქნება გაყვანილი საქართველოდან რუსეთის ჯარი და არ იქნება აღდგენილი საქართველოს დამოუკიდებლობა, ქართველი ხალხის უფლებები.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს!

გაუმარჯოს 26 მაისს განთავისუფლებულ სამშობლოში!

ძირს მოძალადენი! ზიზღი მოღალატეებს!

საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტია, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, საქართველოს დემოკრატიული პარტია (გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული, ეროვნული და რადიკალ-დემ. პარტიები), საქართველოს სოციალისტ ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია, საქართველოს დამოუკიდებელი სოც.-დემ. მუშათა პარტია.

მაისი 1922 წ.

მესამე ხელისუფლება

აღმართში დაწეული ქვის სიმძიმე

18 მაისს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთი დანაშაულებრივი ჯგუფის ხუთი წევრი გაასამართლა. თავიდან ისინი ექვსნი ყოფილან. ერთი, რომელსაც განსასჯელები აბრამიშვილის გვარით იხსენიებენ, მთავარი გმირი ჩანს, თუმცა დასკვნები ნაადრევია, რადგან იგი მიმალულია და, ჭირჭირობით, მხოლოდ იძებნება. დანარჩენებს კი, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ამოგდებისა და მოძმის შეპირვებისთვის იყვნენ განწესებულნი, ჩადენილი დანაშაულისათვის უკვე მიეხჯათ.

რას ვიზამთ, როცა ბუნება ამგვარი უგუნურებისთვის შობს კაცს, უწნეო სურვილები და მისწრაფებები კი გაწაფავს. თუმცა თანამემამულის ხელით ქვეყნის დაღუპვა და ისედაც ათასგვარი უბედურებით შეპირვებული ხალხისათვის სულის ამოხდომამდე ფეხის დაჭერა ისეთი გაუგონარი ბოროტებაა, არც გინდა დაიჯერო. მაგრამ სად გაექცევით ფაქტს...

უკეთურმა თანამოძმეებმა დანაშაული არა მარტო ჩაიფიქრეს, განახორციელეს კიდეც...

მალხაზ ექვთიმეს ძე ლვინიაშვილი, 40 წლის, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, დროებით უმუშევარი, ცხოვრობს თბილისში.

სოსო კაპიტონის ძე კუპრავა, 42 წლის, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, უმუშევარი, ზუგდიდელი.

გოდერძი გიორგის ძე ჯოჯიშვილი, 38 წლის, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, თბილისის დიდუბის რაიონის საკუთრების დაცვის პოლიციის განყოფილების ყოფილი გუშაგი, პოლიციელი, თბილისელი.

გურამ სევერიანეს ძე სულავა, 62, წლის, ცოლშვილიანი, უმაღლესი განათლებით, თბილისის კოოპერატივ „ბერმუხის“ ყოფილი თავმჯდომარე, თბილისელი.

ომარ ბრიგოლის ძე ლუღუნიშვილი, 52 წლის, ცოლშვილიანი, საშუალო განათლებით, თბილისის კომერციული ფირმა „მადლის“ ყოფილი პრეზიდენტი.

ისინი, გარეგნულად ჩვეულებრივი ადამიანები არიან, მაგრამ შიგნიდან, ჩანს, სხვანაირად არიან მოწყობილი, ისე, რომ სიკეთისა არა სცხიათ რა, რადგან ზიზღითა და ბოღმით აქვთ ყველაფერი გაპოხილი.

მათ ერთობლივად ჩაიფიქრეს ელექტროგადამცემი ხაზების განადგურება და დივერსიული აქტებით განახორციელეს კიდეც (რაც მოასწრეს). ყოველივე კი ჩაიდინეს მაშინ, როცა აფხაზი ექსტრემისტების წყალობით განსაკუთრებული სისასტიკით, ვანდალურად ინგრეოდა სოხუმი, იღუპებოდნენ ადამიანები.

სწორედ მაშინ, ომის პარალელურად, პრეზიდენტყოფილის მომხრეთაგან შექმნილი დამნაშავეთა ჯგუფები ათასგვარი [illegible] მოსვენებას უკარგავდნენ საქართველოს მოსახლეობას.

მიზანი:

გამწვავებინათ რესპუბლიკაში არსებული ისედაც მძიმე სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, გამოეწვიათ ხალხის მასობრივი ანტისახელმწიფოებრივი გამოსვლები და მიეღწიათ ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის.

სამშობლოს უმოწყალოდ ღალატის მოსურნეთ გარდა, იმჟამად, ამაზე არავინ იფიქრებდა. ამის მოსურნენი კი ჩამოთვლილებს ვერასგზით უწოდებ, ისინი სახელმწიფოს მტრები არიან, რადგან არც [illegible] თქმული [illegible] გაგონილა ქვეყნის მოკეთე [illegible] ხელში ეროვნული დროშა ეკავოს, მეორეში — ქვეყნის გასანადგურებელი [illegible], აქეთ სამშობლოს [illegible] და იმავდროულად [illegible] აღმართში აწევდეს მას. [illegible] უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ, მოვიყვანთ რამდენიმე ნაწყვეტს ბრალდებულთა (უკვე მსჯავრდებულთა) მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული იმ ჩვენებებიდან, რომლებიც მიცემულია საპროცესო კანონმდებლობის სრული [illegible] პირობებში.

[illegible] კუპრავა, „თბილისში [illegible] სტადიონის წინ მდებარე [illegible]ში, სხვადასხვა დროს გავიცანი დღევანდელი ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი პიროვნებები: აბრამიშვილი, ლვინიაშვილი, ლუღუნიშვილი, სულავა და ჯოჯიშვილი...

...ავვეფეთქებინა ელექტროგადამცემი ხაზები, რის შედეგადაც ელექტროენერგიის გარეშე დარჩენილი თბილისის მოსახლეობა აღდგებოდა დღევანდელი ხელისუფლების წინააღმდეგ. 24-25 ივნისს სტადიონის წინ მდებარე სკვერში, სადაც ჩვენ სისტემატურად ვიკრიბებოდით, აბრამიშვილმა მითხრა: ხალხს ჯერ კიდევ სძინავს და გონს არ მოსულა, მათ გამოსაფხიზლებლად და ახლანდელი ხელისუფლების დასამხობად საჭიროა მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძების აფეთქება (სტილი აქაც და სხვა ნაწყვეტებშიც დაცულია — რ. ლ.).

„...გადავწყვიტეთ მოგვეხდინა აფეთქებები საქართველოს ტერიტორიაზე მთელი რიგი ელექტროენერგიული მნიშვნელოვანი ობიექტების მწყობრიდან გამოყვანის მიზნით, რათა ამით ხალხის უკმაყოფილება გამოგვეწვია და ხალხი გამოფხიზლებულიყო და აღმდგარიყო დღევანდელი ხელისუფლების დასამხობად“.

ფაქტი

26 ივნისი. დასანაღმად და ასაფეთქებლად დივერსანტებმა მიზანში ამოიღეს ბაგების მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ქვესადგური „ლისი-220“-ისა და ქვესადგურ „მთაწმინდა-110“-ის ელექტროგადამცემი ხაზის № [illegible] ანძა. ომარ ლუღუნიშვილისა და გურამ სულავას დახმარებით (სულავას კუთვნილი ავტომანქანა „გაზ-24“ ბოლომდე ერთგულად ემსახურა დივერსანტებს) ადგილზე მივიდნენ დივერსიული აქტის უშუალო ამსრულებლები ლვინიაშვილი და აბრამიშვილი, რა თქმა უნდა, თან მიიტანეს ასაფეთქებელი მასალა და მოწყობილობა.

იმ ღამეს ანძა აფეთქდა.

მოსახლეობის ნაწილი უშუქოდ დარჩა.

სახელმწიფომ იზარალა 200 ათასი მანეთი... ვიღაც-ვიღაცეები იცინოდნენ... ვიღაც-ვიღაცეები კი სისინებდნენ... დივერსანტები დასახულ მიზანზე ხელს არ იღებდნენ

გოდერძი ჯოჯიშვილის წინასწარი გამოძიების ჩვენებიდან: „ჩვენი ჯგუფი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების აფეთქებით მიზნად ისახავდა დაეტოვებინა თბილისი და მისი მიმდებარე ტერიტორია ელექტროენერგიის გარეშე, რაც გამოიწვევდა ხალხის უკმაყოფილებას არსებული ხელისუფლების მიმართ და აღსდგებოდა მის წინააღმდეგ“...

მალხაზ ლვინიაშვილი... „ამ აქტების შედეგად უნდა შემწყდარიყო თბილისის მოსახლეობისათვის ელექტროენერგიის მიწოდება. აღნიშნული კი თავის მხრივ გამოიწვევდა ეკონომიკური სიდუხჭირის გამო გაღიზიანებული ხალხის ამ ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლების გააქტიურებას“.

დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა მიერ წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებებიდან ურთიერთმსგავსი ნაწყვეტების მოყვანას მხოლოდ ერთი მიზანი აქვს. უკვე დავინახოთ და გავიაზროთ, როგორი სულისკვეთების ადამიანები ცდილობდნენ წვეთწვეთობით, სხვადასხვა ხერხითა და მეთოდით აევსოთ ხალხის მოთმინების ფიალა. სამწუხაროდ, ხელისუფლების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლა კვლავ გრძელდება.

ფაქტი

29 ივნისს იგივე ჯგუფი აფეთქებს ქვესადგურ „ლისი 220“-ისა და ქვესადგურ „მთაწმინდა-110“-ის ელექტროგადამცემი ხაზის № 31 ანძას.

ვაკისა და მთაწმინდის რაიონების მოსახლეობა და დაწესებულებები ბნელში რჩებიან, სახელმწიფო 44 მილიონი მანეთით ზარალდება.

ხალხი შეპირვებულია, უკმაყოფილება იზრდება; დივერსანტები თამამდებიან. 7 ივლისს სოფელ ოკამში მიდიან და კუპრავას მიერ ზუგდიდიდან ჩამოტანილი ასაფეთქებელი მასალითა და მოწყობილობით 500-კილოვატიანი ელექტროგადამცემი ხაზის № 414 ანძას ნაღმავენ. ხელი ეცარებათ. საყრდენი ბოძი მხოლოდ ზიანდება, მოსახლეობას დენი აქვს. დამნაშავეები ჯიუტად დებენ თავისაზე და ამ ანძის ხელმეორედ ასაფეთქებლად გულმოდგინედ ემზადებიან.

რა რჯით?

სულავას მიერ წინასწარი გამოძიებისას მიცემული ჩვენებიდან:

„...ელექტროდენის მიწოდება შეუწყდებოდა ქალაქ თბილისსა და საქართველოს მთელ რიგ რაიონებს, რაც გამოიწვევდა საერთო ეკონომიკური სიდუხჭირის ფონზე მოსახლეობის კიდევ უფრო უკმაყოფილებას. ხალხი გამოვიდოდა ქუჩაში, არსებული ხელისუფლების გადაგდების მოთხოვნით“.

უზნეობა, ამას ქვია...

ლუღუნიშვილი 1700 მანეთად ყიდულობს მექანიკურ საათს, სულავას ბინაში კი ასაფეთქებელ მოწყობილობასა და მასალას ამზადებენ. ამჯერად უმართლებთ. მეორე დღეს, 8 ივლისს ანძა ფეთქდება. ზარალი 520 მილიონი მანეთია.

დამნაშავეთა ჯგუფს... აპატიმრებენ.

წინასწარ გამოძიებაში ყველა განსასჯელმა ჩადენილი დანაშაული აღიარა, ერთმანეთიც გვარიანად ამხილეს და ისიც დეტალურად აღწერეს, როგორ მოქმედებდნენ.

შენიშვნა: ლვინიაშვილმა და სულავამ ჩადენილი დანაშაულის ორივე ეპიზოდში მიიღეს მონაწილეობა. დანარჩენმა სამმა კი — ორ-ორ ეპიზოდში.

მაგრამ...

როგორც ხდება ხოლმე:

ბრალდებულებმა წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული აღიარებითი ჩვენებები სასამართლო პროცესზე უარყვეს, აქაოდა, ფიზიკური და ფსიქიკური ზემოქმედებით გამოგვძალესო.

მართალია, ლვინიაშვილმა და კუპრავამ ამგვარი განცხადება ჯერ კიდევ წინასწარი გამოძიების დროს გააკეთეს და აღიარებითი ჩვენებებიც შეცვალეს, მაგრამ შემდეგ, საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით (ადვოკატები ესწრებოდნენ) დაკითხვისას მათ ადრინდელი ჩვენებები დაადასტურეს, ამიტომაც სასამართლო კოლეგიამ მათ მიერ სასამართლო პროცესზე მიცემული ჩვენებები არ გაიზიარა.

იგივე მოტივებით შეცვალეს წინასწარ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენებები სასამართლო პროცესზე ჯოჯიშვილმა, სულავამ და ლუღუნიშვილმაც, მაგრამ სასამართლო კოლეგიამ არ გაიზიარა ეს. არ გაიზიარა, რადგან საქმეში არსებული მასალების ერთობლივი ანალიზით, კერძოდ, თვითონ განსასჯელების წინასწარ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენებების ერთობლიობით, მოწმეების ჩვენებებითა და სხვადასხვა ექსპერტიზის დასკვნებით, საქმეში არსებული სხვადასხვა სახის საგამოძიებო ოქმებით, განსასჯელების მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული აღიარებითი ჩვენებები საკმარისად სარწმუნო აღმოჩნდა.

აშკარა იყო მათი მცდელობა, როგორმე გადაეთქვათ წინასწარი გამოძიებისას თქმული, მოსალოდნელი პასუხისმგებლობისა და სასჯელისგან თავის დასაღწევად.

ცნობისათვის:

დანაშაულის ადგილებზე გაყვანილმა ოთხმა დამნაშავემ (კუპრავას გარდა) დეტალურად მიუთითა როგორ ახდენდნენ დანაღმვასა და აფეთქებებს, რაზედაც წინასწარი გამოძიების დროს შედგენილია ოქმები.

გარდა ამისა, დამნაშავეებს ბინების ჩხრეკისას აღმოაჩნდათ:

ლვინიაშვილს: ტყვიამფრქვევის 42, ავტომატური იარაღის 122, მაკაროვის სისტემის პისტოლეტის 12, ნაგანის ერთი ცალი ვაზნა, „ფ-1“-ის ტიპის ხელყუმბარა და ასაფეთქებელი მასალის „ამონიტის“ ერთი 300 გრამიანი ვაზნა.

კუპრავას: ტროტილის 26 მუხტი და „ამონიტის“ 4 ცალი 300-გრამიანი ვაზნა.

სულავას: ესპანური ტიპის პისტოლეტი, 31 საბრძოლო ვაზნა. მისივე დამზადებული ხელყუმბარა (ყოველივე გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს).

და როგორც ზემოთ ვთქვით, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლოს კოლეგიამ ჯემალ ცისკარაშვილის თავმჯდომარეობით და სახელმწიფო ბრალმდებლის ზურაბ გურჯიძის მონაწილეობით (მსაჯულები ზ. ვადაჭკორია, ლ. მესტვირიშვილი) დამნაშავეთა ჯგუფის წევრებს მიუსაჯა:

მალხაზ ლვინიაშვილს [illegible] წლით თავისუფლების აღკვეთა, აქედან 8 წლიწადი საპყრობილეში, დარჩენილი 12 წლიწადი მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

გურამ სულავას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

სოსო კუპრავასა და გოდერძი ჯოჯიშვილს 14-14 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

ომარ ლუღუნიშვილს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების კოლონიაში მოხდით, ქონების კონფისკაციით.

შენიშვნა:

დადგინდა, რომ სულავას ავტომანქანა „გაზ-24“-ით (რაც საქმეზე ნივთმტკიცებად არის ცნობილი) დივერსანტები ასაფეთქებელ მოწყობილობასა და მასალას ეზიდებოდნენ. აგრეთვე იყენებდნენ დანაშაულის ადგილებზე გადასაადგილებლად. ამიტომ ავტომანქანა, როგორც დანაშაულის ჩადენის იარაღი, კონფისკებულია სახელმწიფოს ბიუჯეტის სასარგებლოდ.

მართალია, სასჯელების განსაზღვრისას სასამართლო კოლეგიამ განსასჯელთა მიმართ გაითვალისწინა შემამსუბუქებელი გარემოებანი, კერძოდ, რომ ისინი პირველად არიან სამართალში და ჰყავთ არასრულწლოვანი თუ მცირეწლოვანი შვილები, მხედველობაში მიიღეს მათი ოჯახური მდგომარეობა, მაგრამ ამავე დროს გაითვალისწინეს დამამძიმებელი გარემოებანიც: დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რომელმაც გამოიწვია მძიმე შედეგი.

არ ვიცი, სასჯელის სხვა რა ზომას მოელოდნენ განაჩენის კითხვისას გალურსული პირისფერნი, მერე ერთბაშად რომ შემოტრიალდნენ და ლანძღვა-გინებისა თუ წყევლა-კრულვის კორიანტელი დააყენეს.

სიყვარული ბრმაა და შეიძლება ადამიანმა ახლობლის მიერ ჩადენილი დანაშაული ობიექტურად ბოლომდე ვერ ან არ გაიცნობიეროს, ამ შემთხვევაში მათი, კატეგორიულად მიუღებელი რეაქციაც შეიძლება ბუნებრივად ჩაითვალოს კაცმა, მაგრამ იმ დღეს იმდენად საზარელი იყო იქ მათი მხრიდან გადმონთხეული ზიზღი და ბოღმა, იმდენად დიდი იყო განუკითხავად ყველასთვის ყელში წვდომისა თუ თვალების დათხრის სურვილი, რომ დავრწმუნდი: ბოროტებას ბიძგრასავით ათასი ხაზი აქვს...

რუსუდან ლორთქიფანიძე,

პარალელური მონოლოგები

93-ის 27 სექტემბერი

9. მრავალნი დაეცნენ მახვილისაგან, მაგრამ უმრავლესნი ენით

მოსვენებას ვერ იპოვის ჭორის მსმენელი და მშვიდად ვერ იცხოვრებს.

სიბრძნე ზირაქისა, 28,16.

— **ბატონი** ედუარდ შევარდნაძე სასწრაფოდ იწვევს თათბირს — უნდა ვუშველოთ ალყაში მოხვედრილებს! — **იხსენებს ლონდერ ცაავა.**

ოპერატიულად უკავშირდებიან რუსეთის მხარეს, პასტუხოვს, სხვებს. ადამიანების სიცოცხლის გადარჩენას სთხოვენ. ორი ტანკი დაიძრა სოხუმისკენ და წითელ ხიდთან ცეცხლის წინაღობას ვერ გაალწია. ძალამ გადახნა აღმართი და ყველა აქ დარჩენილის გულზე სისხლიანი გუთნით გადაიარა.

— **ომის** ტალღა უკვე სინოპს მოადგა, გაუსაძლისია საარტილერიო შემოტევა, შტაბის იქ გაჩერება უაზრობაა. ბატონი ედუარდი ფეხს ითრევს — ჟიული შარტავას გამოხსნის შედეგს ელოდება. ყველაფერი გაკეთდა — შესაძლებელიც და შეუძლებელიც, მაგრამ მინისტრთა საბჭოს შენობაში მყოფთა ბედი მაშინ წუთებში გადაწყდა. სასწაული თუ იხსნიდა, თორემ ყველა ადამიანური მცდელობა უნაყოფო იყო.

ამ დროს გამოჩნდა გურამ ჯანიაშვილის ჯგუფი და მოვლენების შემდგომი განვითარების შესახებ თქვენმა მკითხველებმა უკვე იციან**.

ერთ ამბავს გავიხსენებ მხოლოდ. იმიტომ, რომ პრესაში გამოჩნდა იმ ადამიანთა პუბლიკაციები, რომლებსაც სოხუმის დაცვის კონკრეტულ სიტუაციასთან არაფერი ჰქონდათ საერთო და პირველწყაროს უფლებას კი იჩემებენ.

6 მაისს გაზეთმა „კავკასიონმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ თავდაცვის ყოფილ მინისტრთან, რომელშიც ბატონი თენგიზ კიტოვანი შევარდნაძე-ქობალიას საუბრის „სენსაციურ“ ვარიანტს აწვდის მკითხველებს.

ეს სატელეფონო საუბარი „ჩვენ დავიჭირეთ, — ნათქვამია ინტერვიუში, — და გაოგნებულები ვუსმენდით. დიალოგი შემდეგი შინაარსისა იყო:

— როგორ ხარ, ჩემო ლოთი?

— კარგად, ბატონო ედუარდ.

— მიიღეთ ჩემგან ყველაფერი?

— ყველაფერი მივიღეთ, გადმოვალთ მალე.

— აბა, ჩემო ლოთი, გეხვევი, გკოცნი, შენი ედუარდი“.

ყოფილი თავდაცვის მინისტრი თავის მოწმეებს ასახელებს. არ ვიცი, ისინი (გიგლა ბარამიძე, ირაკლი ქადაგიშვილი) დაუდასტურებენ თუ არა ამ სატელეფონო საუბრის მისეულ ვერსიას, მე სულ სხვა საუბრის მოწმე ვიყავი.

ვეჭვობ, რომ „მაკომპრომენტირებელ ფაქტად“ შემოგდებული „საუბარი“ შეგნებულად დამახინჯებული ვარიანტია იმ საუბრისა, რომელიც მართლაც გაიმართა, თუ საუბარი შეიძლება ეწოდოს რამდენიმე წინადადებას, რაც იქ მყოფებმა მოვისმინეთ.

გაგახსენებთ სიტუაციას.

საქართველოს სამთავრობო ჯარს, ტექნიკას ქობალიას რაზმებმა გზა გადაუკეტეს, კოდორზე გადმოსასვლელ ხიდს აფხაზები აკონტროლებენ, მისადგომები დანაღმულია. სხვა გზა სოხუმში შემოსაღწევად პრაქტიკულად არ არსებობს. მაშინ ქობალიას სიტყვა რომ არ გაეტეხა, განზე რომ არ გამდგარიყო, ღრმად ვარ დარწმუნებული, შევძლებდით სოხუმის გადარჩენას. რადგან, ჯერ ერთი, დიდძალი მებრძოლი, ტექნიკა, შეიარაღება მოგვეშველებოდა და, მეორეც, დამხმარე ძალის გამოჩენა სოხუმის დამცველებს „მეორე სუნთქვას“ შემატებდა, გაამხნევებდა. ეს სავსებით საკმარისი იქნებოდა მტრის გასანადგურებლად.

ერთი და იგივე სიტუაციაა რომ ადამიანზე უარყოფითად მოქმედებს, ცნობილია, სუფრაზეც კი უჭირს კაცს დიდხანს გაძლება. წარმოიდგინეთ, როგორ იყვნენ ფიზიკურად და ფსიქიკურად გადაღლილნი ჩვენი მებრძოლები, მათი მეთაურები 11 დღის მანძილზე წინა ხაზზე განუწყვეტელი ბრძოლების, დაბომბვის, სულ რაღაცის მოლოდინის პირობებში. რაც მათ გადაიტანეს და რასაც გაუძლეს, უკვე გმირობაა, მე რომ მკითხოთ.

აი, ასეთ ვითარებაში დამხმარე ძალა რომ მოვა, გვერდით ამოგიდგება, ან, უფრო უკეთესი, — თუ შეგცვლის, დაგასვენებს, მტრის ტექნიკას ჩვენი მძიმე შეიარაღება რომ გასცემს პასუხს, ხომ წარმოგიდგენიათ, როგორ დაიმუხტებოდნენ ჩვენი ბიჭები.

კოდორის ხიდის გახსნა მოსახლეობის ევაკუაციასაც გააადვილებდა, ზურგთან კავშირიც აღდგებოდა, ტყვარჩელი ბლოკირებული აღმოჩნდებოდა, გაერთიანდებოდა და მთლიანად ჩაერთვებოდა ბრძოლებში ის სამხედრო პოტენციალი, რომელიც საქართველოს ჰქონდა. მაშინ, ვინ იცის, როგორ განვითარდებოდა სოხუმისთვის ბრძოლა.

15-16 აგვისტოს აფხაზეთისა და კონფედერატების ორდღიანი ძლიერი შემოტევა ჩვენებმა რომ მოიგერიეს, მაშინ ძალიან მაგრად გაჰყვიტეს ისინი წელში. ახლაც, სექტემბერში, აფხაზებმა სოხუმს მთელი ძალებით, რაც კი გააჩნდათ, შემოუტიეს, ზურგში აღარაფერი დაიტოვეს. ჩვენ რომ კოდორიდან დამხმარე ძალა მოგვსვლოდა, არა მარტო გავუძლებდით ამ იერიშს, არა მარტო მოვიგერიებდით, არა მარტო კონტრშეტევის საშუალება მოგვეცემოდა, არამედ... მაგრამ ახლა გვიან არის ამაზე საუბარი. თუმცა, ანალიზისთვის, ალბათ, აუცილებელია.

ისიც არის, რომ სოხუმის დაცვის უკეთ ორგანიზაციის შემთხვევაში, თანაც მეომრებს ოდნავი დასვენების საშუალება რომ მისცემოდათ, ქალაქი არ დაეცემოდა...

ერთი სიტყვით, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ კოდორის დებლოკირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ეს სამხედროებმაც შესანიშნავად იცოდნენ და იმ ადამიანებმაც, რომლებსაც თავიანთი პროფესიით ომთან საერთო არაფერი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ყველაფერს აქეთებდნენ ჩვენი გამარჯვებისთვის.

სოხუმში იყო ერთი ბიზნესმენი — ნუგზარ გოგია, რომელმაც, ყველაფერი, რაც ებადა, ჯარს და გაჭირვებულ მოსახლეობას მოახმარა. ტელევიზიით, ალბათ, ბევრმა ნახა, როგორ ელაპარაკებოდა ეს კაცი ქობალიას და წამოსვლას სთხოვდა.

ეს ხდება შარტავას კაბინეტში. აქ არის ბატონი ედუარდი, ჟიული შარტავა და მეც მათთან ერთად, შეიძლება სხვაც იყო, აღარ მახსოვს.

ნუგზარ გოგიას თავისი გამოკვეთილი პოზიცია ჰქონდა იმათ მიმართ, ვინც კოდორზე იდგა, სიმპათიურად იყო განწყობილი, სჯეროდა, რომ ჩვენი სისხლი და ხორცი არ მიგვატოვებდა გასაჭირში. ჩანს, იმათი ხელმძღვანელობაც გარკვეულად დავალებულიც იყო მისგან და ამიტომაც ფიქრობდა, რომ მის სიტყვას ანგარიშს გაუწევდნენ. იმდენი ქნა ნუგზარ გოგიამ, რომ შარტავას ტელეფონით დარეკა და ქობალიას დაელაპარაკა — აქ ხალხი იხოცება, გაარღვიე, გამოდი და მოგვეხმარეო, უთხრა, კიო, უპასუხა ქობალიამ, მერე ჟიული დაალაპარაკა.

არ გავაგრძელებთ იმაზე საუბარს, რა ძნელი იყო ამ უკანასკნელისთვის, როგორც ხელისუფლების წარმომადგენლისთვის ლაპარაკი იმ კაცთან, რომელსაც ყაჩაღის მიერ ფეხი აქვს დაჭერილი და თუ მოისურვებს — გასუნთქებს, თუ არა — უპატიობით დაგახრჩობს. შინაგანად ისეთ წმინდა პიროვნებას, როგორიც ჟიული იყო, ბანდიტთან საუბარი, რა თქმა უნდა, გაუჭირდებოდა.

მაინც დაელაპარაკა. ბოლოს და ბოლოს ადამიანებს ყოველთვის აქვთ საშუალება საკუთარი ქცევით მოისყიდონ ჩადენილი ცოდვა. რატომ უნდა წაერთმია ასეთი შანსი ქობალიასთვის?

ეტყობა, ქობალიამ იგივე უპასუხა, რაც ნუგზარ გოგიას. ჟიულიმ ყურმილს ხელი დააფარა და — ბატონო ედუარდ, დაელაპარაკეთ, თუ შეიძლება, — სთხოვა შევარდნაძეს.

იმან ხელი აუქნია და — არაო, — უპასუხა, — არ დაველაპარაკებიო.

საუბარი გააგრძელა შარტავამ და, ჩანს, ქობალიამ ძალიან დამარწმუნებლად უთხრა, ამდენი და ამდენი კაცი, ასეთი და ასეთი ტექნიკით, ზუსტად ამ დროს წამოვალთ; თუ ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, აქამდე არ ვიცოდი, თორემ რა გამაჩერებდაო და ასე შემდეგ.

ისიც სათქმელია, რომ საუბრები ქობალიას მხრიდან უპირობო არ ყოფილა, ულტიმატუმი წამოგვიყენეს: რამდენიმე ჩვენი კაცი დააპატიმრეს და გაათავისუფლეთო, — ეს პირველივე საუბრის დროს გვითხრეს.

ვაჭრობის დროა? პირობების წამოყენების დროა?

საათები და წუთები წყვეტს ქვეყნის ბედს — ან ჰო, ან არა! კოდორისკენ იყურება დიდი და პატარა, შიკრიკებს ვგზავნით, მეც არაერთხელ მივედი ხიდთან.

არავითარი მოძრაობა!

ვინ იყვნენ ის დაპატიმრებულები, ვისი გათავისუფლებაც მოგვთხოვეს? მოკლედ გეტყვით, — საშიში ბოროტმოქმედები, რომლებმაც ბევრი უბედურება დამართეს საქართველოს.

ჟიული შარტავამ მაშინ უთხრა, ეს ის საკითხი არ არის, რომლის შესახებაც ამ ტრაგიკულ სიტუაციაში უნდა ვილაპარაკოთ. გადავდოთ შემდეგისთვის, ახლა სოხუმის გადარჩენაზე ვიფიქროთო.

მეორე ულტიმატუმი იყო მთავრობის ჯარების მიერ ქუთაისთან შემთხვევით დაკავებული ქობალიას მებრძოლების გათავისუფლება. საქმე ასე იყო: ცეცხლი რომ შეწყდა, მებრძოლებმა ერთმანეთთან გადასვლა იწყეს, რაც, სხვათა შორის, ლოგიკური იყო. ალოგიკური და უაზრობა მათ შორის ომი და დაპირისპირება გახლდათ.

ერთხელაც, როცა ჩვეულებრივ ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ, იმ ადგილზე უკვე სხვა სამხედრო ნაწილი დახვდათ, ამ მიმოსვლის შესახებ არაფერი იცოდნენ და, წესისამებრ, დააპატიმრეს.

ამათი გათავისუფლება გვთხოვეს. დაუყოვნებლივ შევასრულეთ.

იმ დღეს ოთხჯერ ველაპარაკეთ ქობალიას.

და ბოლოს, როცა ძალიან დაბეჯითებით გვითხრეს მოვდივართო, ჟიული შარტავამ, იმის მიუხედავად, რომ იცოდა — შევარდნაძეს არ სურდა ქობალიასთან საუბარი, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ დაპირება ბეჭედდასმული ყოფილიყო, ქობალიას უთხრა — ახლა ბატონი ედუარდ შევარდნაძე დაგელაპარაკებაო, და ყურმილი მიაწოდა სახელმწიფოს მეთაურს.

ეს ყველასთვის მოულოდნელად მოხდა.

და ედუარდ შევარდნაძემ გამოართვა ყურმილი.

ჩვენ, ვინც იქ ვიყავით, სმენად ვიქეცით.

— ალო! — მეტი არაფერი. ხომ არ მიმართავდა სახელით, ან მით უფრო, — ბატონო ლოთი?!

ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოდან მოახსენეს რამდენი კაცი, ტექნიკა, როდის წამოვიდოდნენ სოხუმის მოსაშველებლად.

— თუ თქვენ ასე იმოქმედებთ, დიდ საქმეს გააკეთებთ საქართველოსთვისო, — უთხრა ბატონმა ედუარდმა.

ეს იყო და ეს.

მაგრამ დალაპარაკება დაფიქსირდა. და თავისთავად ეს ფაქტი ბევრ რამეს ნიშნავდა...

ის დღე დაღამდა, გათენდა მეორე დღეც.

ვრეკავთ ზუგდიდში.

მოვდივარ, — ისევ ამბობს ქობალია.

ახლა მეც ჩავერთე ამ საუბრებში.

მესამე დღეა გვატყუებენ.

თურმე უნდა მოგვატყუონ, ასეთი გეგმა აქვთ — დაგვპირდნენ და არ შესრულონ.

აფხაზეთის უშიშროების სამსახურის უფროსმა კარგა ხნის მერე გუდაუთიდან ქობალიასთან რადიოსაუბრის ტექსტი მაჩვენა, სადაც შავით თეთრზე ეწერა — Все идет по плану. მოქმედებას უწონებდნენ ქობალიას.

დაბეჯითებით უნდა ეთქვათ, რომ მოდიან დასახმარებლად, უეჭველად, ყოველ მიზეზგარეშე, არავითარი ორჭოფობა! ამით ჩვენი მოდუნება, უმოქმედობა უნდა გამოეწვიათ — ასეთი გეგმით მოქმედებდნენ საქართველოს „პატრიოტები“. ასეთი დაპირება ჩვენი [illegible] რიცხების გეგმაში ჰქონდათ გათვალისწინებული.

იმას ვამბობდი, რომ ბოლოს ქობალიას მე დაველაპარაკე. შარ[illegible] რომელიც სამხედროებით, დაცვის თანამშრომლებით, ქალებითა და ბავშვებით იყო სავსე, პირდაპირ ვუთხარი, რომ აშკარად ჩანს სოხუმის გადარჩენაში არ დაგვეხმარებით, ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ — ასიათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი გულრიფშსა და კოდორს არის მომდგარი, ეს ხალხი მაინც გაიყვანეთ და გადით-მეთქი.

ჩავთვალე, რომ ეს ის ვარიანტი იყო, რომელსაც ნებისმიერი ქრისტიანი კაცი უნდა დათანხმებულიყო.

მიპასუხა: არ ვიცოდი, რომ ასეთი სიტუაცია იყო (ეს წინადადება ყოველთვის რეფრენივით მეორდებოდა). ერთ საათში 1 500 კაცს მე თვითონ ჩავუდგები სათავეში, მთავრობის ჯართან ერთად გავარღვევთ აფხაზების თავდაცვას და გავიყვანთ ხალხს.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ ზუგდიდში.

იქიდან მიპასუხეს: — ბატონი ლოთი აქ არ არის, სენაკში წავიდა. მონახეს ვინმე გურამ ლაკია. მალაპარაკეს, ვთხოვე იგივე, რაც ქობალიას. იგივე მიპასუხა, რაც ქობალიამ: ისევ ის, ერთი საათი, პირადად სათავეში ჩავდგები და...

ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ. მიპასუხეს — [illegible] კია [illegible]შიაო წასული.

აი, ასე „გადაარჩინეს“ გაწამებული ხალხი. ისიც უნდა იცოდეთ, რომ არც ქობალიას, არც ლაკიას აფხაზების დაცვის გარღვევაც არ სჭირდებოდათ. მათ ერთმანეთში ისეთი ურთიერთობა ჰქონდათ, რომ შეეძლოთ მოლაპარაკებოდნენ და ისე გაეყვანათ ლტოლვილები.

ესეც არ გააკეთეს.

ბოლოს, ერთი საკითხის შესახებ ილაპარაკა ლონდერ ცაავამ. ძალიან კი გაუჭირდა საუბარი, მაგრამ მაინც თქვა: იდგა თუ არა ედუარდ შევარდნაძე ტრაგიკული გადაწყვეტილების მიღების წინაშე?

— იდგა. მას შემდეგ, რაც ყველა საშუალება ამოიწურა, ყველა ცდა უშედეგოდ ამთავრდა, ყველა მიმართვა უპასუხოდ დარჩა, ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ედუარდ შევარდნაძემ გადაწყვიტა საკუთარი სიცოცხლე დაედო სასწორზე, გაეწირა თავი, რომ ამით მიეპყრო მსოფლიოს არა მარტო ყურადღება სისხლისაგან დაცლილი საქართველოსადმი, არამედ აეძულებინა აქტიურად ჩარეულიყო ჩვენი ტრაგედიის მოწესრიგებაში.

თქვენ იცით, რომ სიკვდილი გვერდს უვლიდა, თუმცა მტრის არტილერია პირდაპირ ნადირობდა მასზე. ტყვია არ ეკარებოდა.

დაცვის თანამშრომელს იარაღი სთხოვა შევარდნაძემ. რისთვის? არ ვიცი. არ მისცეს. არც უნდა მიეცათ.

კიდევ იქნება შეხვედრები 27-სექტემბერგამოვლილ ადამიანებთან, კიდევ ბევრს ისაუბრებენ — ჩემთანაც, სხვებთანაც და მაინც არ დასრულდება იმ საბედისწერო დღის ამბავი. ფარდა ჯერ არ დაშვებულა, ბატონებო!

არმაზ სანებლიძე.



---

* დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ №№ 52-55; 67-69; 82.

** „სრ“ № 52-58.

ინფორმაცია

სამხედრო სამეცნიერო სესია

ამ დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სააქტო დარბაზში გაიმართა სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გერმანიის ფაშიზმზე გამარჯვების 49-ე წლისთავს.

სამეცნიერო სესია შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-მაიორმა გურამ ნიკოლაიშვილმა.

მოხსენებები გააკეთეს შეიარაღებული ძალების მთავარი შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ტრისტან ჩინჩილაკაშვილმა, სამხედრო ისტორიის განყოფილების მთავარმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ანჩაბაძემ, მთავარი შტაბის სამხედრო ისტორიის განყოფილების წამყვანმა მეცნიერ-თანამშრომელმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ელგუჯა კუპატაძემ და ომის ვეტერანთა რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა, აკადემიკოსმა გიორგი ციციშვილმა.

დამსწრეთა შეკითხვებს უპასუხა თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ გენერალ-მაიორმა გურამ ნიკოლაიშვილმა.

გაძარცვეს ქარხანა

საქინფორმის კორესპონდენტის ცნობით, ჯერჯერობით დაუდგენელმა ბოროტმოქმედებმა, რომლებმაც შეაღწიეს ქუთაისის ავტოქარხნის ჩარხშენებელ საამქროში, მოიპარეს დიდძალი ელექტრომაგნიტური გამშვების კონტაქტები.

ამ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

დახოცეს პოლიციელები

საქართველოს [illegible] მწიფოს მთა[illegible]ტის რეგიონი[illegible] სამსახურის [illegible] მურ ფიფიამ განაცხადა, რომ 16 მაისს, [illegible] 23 საათზე, ჯერჯერობით დაუდგენელმა პირებმა, ზუგდიდი-წალენჯიხის გზაზე, ცეცხლსასროლი იარაღით ავტომანქანაში ჩახოცეს წალენჯიხის რაიონის პოლიციის უფროსი გოგი კალანდია და პოლიციის სამი თანამშრომელი.

ამ ფაქტთან დაკავშირებით, წალენჯიხაში გაემგზავრნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

განაჩენი საბოლოოა

ახალქალაქის მკვიდრნი სამველ ალაბაბიანი და იური მელიქიძე ერთმანეთს ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენამ და მოხმარებამ დააკავშირა. ისინი არც ამას დასჯერდნენ და თანაქალაქელ ივლიანე გოცირიძის ბინის გაძარცვა განიზრახეს, ხოლო თუ ოჯახის წევრები წინააღმდეგობას გაუწევდნენ, მზად იყვნენ ადგილზევე მოესპოთ „სტუმართმოძულე" მასპინძლები.

ღამით, ოჯახზე თავდასხმის დროს გოცირიძემ მეზობლების ყურადღების მისაქცევად ყვირილი ატეხა. განრისხებულმა მძარცველებმა ქონების დაუფლების, ყაჩაღური თავდასხმის გაადვილებისა და დანაშაულის დაფარვის მიზნით ოჯახის პატრონს და მის მეუღლეს დანით დაუსერეს გულმკერდი, შემდეგ კი სადისტურად აწამეს. მოხუცებული ცოლ-ქმარი შემთხვევის ადგილზე გარდაიცვალა. დამნაშავეებმა კი საოჯახო ნივთები გაიტაცეს.

მელიქიძე ბრალის აღიარებით გამოცხადდა პოლიციაში, ხოლო მიმალული ალაბაბიანი მოგვიანებით რუსეთში დააპატიმრეს.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა საქმე მელიქიძისა და ალაბაბიანის ბრალდების გამო, დამნაშავედ ცნო ისინი და შეუფარდა: მელიქიძეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ალაბაბიანს — სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა.

უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური.

ხვალის საქართველოსთვის!

ქართველ სტუდენტთა წარმატება ვაშინგტონში

სტუდენტთა საერთაშორისო კონკურსის პირობა ასეთი იყო: საკუთარ ქალაქში, რეალური ადგილის საცხოვრებელი კვარტალის განაშენიანება. კონკურსი ტარდებოდა ლიფტებისა და ესკალატორების ერთ-ერთი მსხვილი ამერიკული ფირმის „ოტის ელევატორის" დაკვეთით.

ვაშინგტონში, ამ პრესტიჟულ კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად ჩავიდნენ სტუდენტები ევროპის, აზიისა და ამერიკის სხვადასხვა ქალაქებიდან. ჩავიდნენ თბილისელებიც.

და აი, სასიხარულო ცნობა: — თბილისის სამხატვრო აკადემიის არქიტექტურის ფაკულტეტის სტუდენტების დავით ვაშაკიძისა და რატი ჩომახაძის პროექტმა (ხელმძღვანელი — ლადო ხმალაძე) ევროპის ქვეყნების წარმომადგენელთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

უმაღლესი ჯილდო — გრან პრი ჩილელმა სტუდენტებმა დაიმსახურეს.

კონკურსზე სამი პირველი ადგილი განაწილდა. ევროპის ქვეყნებიდან, როგორც აღვნიშნეთ, საქართველომ გაიმარჯვა, აზია-ავსტრალიიდან ჰონკონგმა, ამერიკის კონტინენტიდან — ჩილემ.

რითი გამოირჩევა თბილისელი სტუდენტების პროექტი? როგორც კონკურსის ორგანიზატორებმა აღნიშნეს, ორიგინალობით, სიმსუბუქით, ფანტაზიით.

მშენებლობა ჩაფიქრებულია სანაპიროზე, ბარათაშვილის ხიდთან. ეს არის ხუთსართულიანი სახლი (ორსართულიანი ბინებით) ძველთბილისური ტიპის შიგა ეზოებით, თანამედროვე იერით, მოძრავი ტროტუარით. სახლის თაღები ჩადის მტკვარში, აქვეა დასასვენებელი ზონაც. ფირმა „ოტის ელევატორის" აზრით, ქართველი სტუდენტების ნამუშევარში ორიგინალურად არის გამოყენებული თანამედროვე არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიუანსები.

ძნელი სათქმელია, როდის დაუდგება საქართველოს დრო მსგავსი პროექტების განსახორციელებლად. ბიჭები იმედს არ კარგავენ. ხვალინდელი დღით ცხოვრობენ. ხვალინდელი საქართველოსათვის კი ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. წარმატებამ მათ პასუხისმგებლობის გრძნობა განუმტკიცა. წინ შრომითა და ძიებით აღსავსე გზაა.

ამ დღეებში დავით ვაშაკიძე და რატი ჩომახაძე ლონდონში, არქიტექტორთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიემგზავრებიან, სადაც შედგება ვაშინგტონში გამარჯვებული პროექტების პრეზენტაცია.

მზია გელენავა.

წაგვაკითხეთ!

რეპლიკა

ბოლო ხანს, თავს იმდენი ელვა და მეხი დაგვატყდა, რომ დიდპატარა ლამის დედიან-ბუდიანად წაგვლეკოს. სამასი გრამი პურისა და ამ საპყარი კუპონის ანაბარა დარჩენილებს ყველაფერი დაგვავიწყდა: რის კინო და თეატრი, რის ტაში და ფანდური, პირში სული თუ გიდგას და მუხლი არ გიდრიკება, მგონი გმირობა გგონია. ეხლა ამ გაუსაძლისს ზედ ისიც დაერთო, რომ შორს, ცხრამთას იქით კი არა, აქვე, ყურის ძირში მეზობლის ავ-კარგისა ვერაფერი გაგვიგია-რა. ყრუმუნჯებივითა ვართ და ადგილობრივი პრესა რასაც მოგვაწვდის, იმ ულუფითღა ვსაზრდოობთ. ერთი სიტყვით, თვითონ ვწერთ და თვითონ ვკითხულობთ... მთელი ზამთარი კი „ოსტანკინოც" გამოითიშა და ქართული ტელეეკრანიც ნამცეც-ნამცეც გვაწვდიდა მონატრებულ საგზალს.

კაცს ჰგონია ამბის გაგება გინდოდეს, რა გასაკვირია, მაგრამ, აბა, რას გაიგებ?! მოსკოვის გაზეთს წამლადაც ვერ იშოვი: არ არის, არ ვიღებთ, არ მოდის. ადგილობრივი, იცოცხლე, ბევრია. ეგ, რა თქმა უნდა, კარგია. აირჩიე, მაგრამ მოსკოვის გაზეთი, წყურას უკაცრავად, აათრინე ალალიო...

ჩემი აზრით, სახელმწიფო ვალდებულია, თუ ის სიტყვით კი არა, მართლა საქმით არის მოსკოვთან ნორმალური ურთიერთობის მომხრე, ეს საკითხი სასწრაფოდ მოაგვაროს. რამდენიმე გაზეთი — „იზვესტია", „კომსომოლსკაია პრავდა", „ტრუდი", და ერთი რომელიმე ახალგაზრდული გამოცემა თბილისში ყოველ მიზეზგარეშე უნდა იყიდებოდეს. ამისთვის შეიძლება ერთი ჯიხური საგანგებოდაც გამოიყოს. ვაჭრობა-გასაღება კი თავად გვიკარნახებს, თუ რა რაოდენობით დასჭირდებათ თბილისელებს მოსკოვური ბეჭდვითი სიტყვა, მაგრამ რომ აუცილებლად გვჭირდება—ეს აშკარაა და უეჭველი.

გაქექილს გატეხილი ჯობია: აქა-იქ ასეთი აზრიც მოვისმინე — ეტყობა, ზოგიერთებს მაინცდამაინც არც რუსული პრესა ეხატებათ გულზეო.

მართალია?!

ამიტომ საკითხი სახელმწიფოებრივ დონეზე უნდა გადაწყდეს და, რაც მთავარია, სასწრაფოდ. ჯერჯერობით კი შეიძლება, რომელიმე ხალხმრავალ ადგილას სტენდი თუ ვიტრინა გამოიყოს, სადაც კაცს ზემოხსენებული გაზეთების წაკითხვა შეეძლება. და თუ ეს ვერ შესრულდება, ეგეც თავისთავად გაჩნდება, რომ ვიღაცას მართლა მხოლოდ სიტყვით უნდა მოსკოვთან ურთიერთობა და არა საქმით. ასე რომ, ყველანი ერთხმად ვამბობთ: წაგვაკითხეთ!

ზურაბ რცხილაძე.

მეცნიერული აღმოჩენა

თბილისის სამედიცინო აკადემიის ნერვულ სნეულებათა კათედრის პროფესორმა, წყალტუბოს კლინიკური იმუნოლოგიისა და ალერგოლოგიის ნეიროიმუნოლოგიური განყოფილების ხელმძღვანელმა, ამერიკის ნევროლოგიური აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ბატონმა იური მალაშხიამ და მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატმა მაყვალა გელაძემ მედიცინაში დღემდე უცნობი ახალი მოვლენა აღმოაჩინეს. მანამდე ნეირომეცნიერებაში გაბატონებული იყო აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის ტვინი იზოლირებულია ორგანიზმის იმუნური სისტემებისაგან ჰემატოენცეფალური ბარიერით და რომ თვით ცენტრალურ ნერვულ სისტემაში ავთვისებიანი სიმსივნეებისა და ინფექციური დაავადების განვითარების საწინააღმდეგოდ მიმართული დამცველი ფუნქციის მატარებელი იმუნიტეტის უჯრედები არ ფუნქციონირებენ.

1970-იანი წლების დასაწყისში ნერვულ სისტემაში და თავზურგტვინის სითხეში ი. მალაშხიამ და მ. გელაძემ აღმოაჩინს იმუნური ფუნქციის მატარებელი ლიმფოიდური „T" და „B" უჯრედები და არალიმფოიდური (მიკროგლია, ასტროციტები) უჯრედების იმუნოლოგიური ფუნქცია, რომლებიც ახორციელებენ ზედამხედველობას ცენტრალურ ნერვულ სისტემაში და სუბარაქნოიდალურ სივრცეში: ავტორთა მიერ აღმოჩენილი ახალი კანონზომიერება 20 წლის განმავლობაში გამოცდას გადიოდა, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის, ისე მსოფლიოს მრავალ ლაბორატორიაში და კლინიკაში და მხოლოდ ახლახან რუსეთის ფედერაციის მინისტრთა საბჭოსთან არსებული აღმოჩენის და საპატენტო სამეცნიერო ინსტიტუტის ექსპერტების მიერ აღიარებული იქნა როგორც ახალი აღმოჩენა.

მსოფლიოში ცნობილი ამერიკელი და ავსტრალიელი მეცნიერების, ნობელის პრემიის ლაურეატების გ. ნოსალის და დ. მიტჩელის თქმით „ქართველ მეცნიერთა მიერ დადგენილ იქნა ადამიანის ერთ-ერთი ურთულესი სტრუქტურის მქონე ორგანოს, ტვინის, კიდევ ერთი ახალი იმუნოლოგიური ფუნქცია".

ვულოცავთ ქართველ მეცნიერებს მსოფლიო აღიარებას სამამულო მედიცინის განვითარებაში.

ცისანა სიხარულიძე.

ფოტოფაქტი



დღეს ჩვენს დედაქალაქში.

ხსოვნა

მაკარ ჯაში

გარდაიცვალა ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე მაკარ ივანეს ძე ჯაში.

დაიბადა 1902 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფელ ვანში. 1930 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი. 1928-1936 წლებში მუშაობდა თბილისის, ხაშურის, დუშეთის, ზესტაფონის რაიონულ ორგანიზაციებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 1936 წლიდან ხელმძღვანელობს თბილისის რაიონულ და საქალაქო ორგანიზაციებს. 1940 წლიდან მუშაობს საქართველოს კონტროლის კომისრად და სახკომსაბჭოს (შემდგომ მინისტრთა საბჭოს) თავმჯდომარის მოადგილედ. 1943 წლიდან პირველ მოადგილედ. 1947 წლიდან დაინიშნა საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის მინისტრად. მისი თაოსნობით ბევრი კარგი და სასარგებლო საქმე გაკეთდა რესპუბლიკის ტყეების მოვლისა და განაშენიანებისათვის, თბილისის შემოგარენის გასამწვანებლად. 1953-54 წლებში ხელმძღვანელობდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

1962 წელს აირჩიეს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარედ. შემდეგ მუშაობდა პროფსაბჭოს განყოფილების გამგედ, არჩეული იყო საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმის წევრად.

სამამულო ომის პერიოდში ასრულებდა ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს სპეციალურ დავალებებს. იყო კავკასიის მთავარი ქედის შატილის, არხოტის, გუდამაყრის რეგიონის დაცვის საგანგებო რწმუნებული.

მაკარ ჯაში დაჯილდოებული იყო საზოგადო მოღვაწის მაღალი თვისებებით, უზადო პატიოსნებით, განუზრელი პრინციპულობით, უსაზღვრო თავდადებით. სადაც კი უმუშავია, საქმეს დიდი პასუხისმგებლობითა და მოვალეობის სრული შეგნებით ეკიდებოდა, ორგანიზაციულ ნიჭსა და უნარს ავლენდა.

მაკარ ჯაშის ხსოვნა ხანგრძლივად დარჩება მისი მეგობრებისა და ახლობლების გულში.

საქართველოს პროფკავშირთა გაერთიანება; საქართველოს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის დეპარტამენტი; საქართველოს შრომისა და ომის ვეტერანთა რესპუბლიკური საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსის განცხადება

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს კადეტთა კორპუსი გაძლიერებული სამხედრო-ფიზკულტურული მომზადებით და უცხო ენების გაღრმავებული სწავლებით აცხადებს მიღებას I კურსზე.

სასწავლებელში მიიღებიან ფიზიკურად ჯანმრთელი ჭაბუკები, რომლებმაც წარმატებით, სანიმუშო და კარგი ყოფაქცევით დაამთავრეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 9 კლასი.

სწავლის ხანგრძლივობა ორი წელია, სწავლა მიმდინარეობს ქართულ ენაზე. სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები კმაყოფის ყველა სახით უზრუნველყოფილი იქნებიან სახელმწიფოს ხარჯზე.

სასწავლებლის წარჩინებით კურსდამთავრებულები უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროს სამხედრო აკადემიის მსმენელებად, აგრეთვე საშუალება მიეცემათ გახდნენ საზღვარგარეთის ქვეყნების სამხედრო სასწავლებლების მსმენელები.

კადეტთა კორპუსი იძლევა ზოგად საშუალო განათლებას.

განცხადება კადეტთა კორპუსში მიღების შესახებ შემოაქვთ მოსწავლის მშობლებს 10 ივნისიდან 22 ივნისამდე.

განცხადებას თან ერთვის შემდეგი საბუთები:

— მოსწავლის პირადი განცხადება კადეტთა კორპუსის უფროსის სახელზე;
— დაბადების მოწმობის ასლი;
— მოწმობა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის ცხრა კლასის დამთავრების შესახებ;
— რეკომენდაცია-დახასიათება სკოლის დირექტორის და კლასის დამრიგებლის ხელმოწერით;
— ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან;
— ცნობა მშობლების სამუშაო ადგილიდან;
— ცნობა ჯანმრთელობის შესახებ;
— ოთხი ფოტოსურათი 3/4.

მისაღები გამოცდები ტარდება 23 ივნისიდან 2 ივლისამდე მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, უცხო ენაში და მათემატიკაში.

გამოცდების ჩაბარების წინ მოსწავლეები გაივლიან სათანადო პროფესიულ-ფსიქოლოგიურ შერჩევას და სამედიცინო შემოწმებას, აგრეთვე ჩათვლას ფიზიკურ მომზადებაში.

დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ:

დ. უზნაძის ქ. № 117 (ყოფილი საარტილერიო სასწავლებლის შენობა).

სასწავლებლის ადმინისტრაცია.

გამოცდები თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში

16-დან 26 მაისამდე თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ფილოლოგიის ფაკულტეტზე მოეწყობა სახელმწიფო გამოცდები. როგორც ცნობილია, შარშანდელი ოქტომბრიდან უნივერსიტეტმა თბილისში განაგრძო საქმიანობა.

— სასწავლო გეგმებით გათვალისწინებულ ვადებში მოეწყო სახელმწიფო გამოცდები ფიზიკა-მათემატიკის, ისტორია-იურიდიულ და ეკონომიკის ფაკულტეტებზე, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გოჩა აბლოთიას უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა ლეონიდე ჯახაიამ, — ფილოლოგიის ფაკულტეტზე სახელმწიფო გამოცდები დაგეგმილია ოთხივე სპეციალობაზე: ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, გერმანული ენა დღის, საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებებზე. გამოცდების ჩასაბარებლად ველით მეხუთე და მეექვსე კურსის სტუდენტებს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

TACIS Newsletter of Tbilisi

May 1994
No 4

Edited by H. Politopoulos, TACIS CU in Tbilisi (Tel. 988537) and G. Niehus TACIS INFO Office in Brussels (Tel.2951116)

"ტასისი" **TACIS** არის ევროკავშირის ინიციატივით შექმნილი ტექნიკური* დახმარების პროგრამა, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ქვეყნებსა და მონღოლეთს საბაზრო ეკონომიკისა და დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. 1994 წლის ბოლოსათვის "ტასისის" მიერ ამ მიზნით გამოყოფილი თანხა მიაღწევს 1 820 მლნ. ეკიუს. იგი მოხმარდება ეკონომიკური განვითარების პროცესისა და პოლიტიკური სტაბილურობის განმტკიცებას.

ევროკავშირი საქართველოსათვის ყველაზე დიდი დონორია, "ტასისი" კი ტექნიკური დახმარების ყველაზე დიდი პროგრამა. სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით "ტასისი" გამოყოფს გრანტებს (სუბსიდიებს) და არა სესხებს, რაც ნიშნავს, რომ საქართველოს არ დასჭირდება მიღებული დახმარების საფასურის გადახდა.

წინა სამ ბიულეტენში გაშუქდა "ტასისის" პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც ამჟამად განხორციელების სტადიაშია.

"ტასისის" ღონისძიებები ხორციელდება წლიური პროგრამის საფუძველზე. დაგეგმვა იწყება იმით, რომ ევროკავშირი საქართველოს მთავრობასთან ერთად აანალიზებს ეკონომიკურ სიტუაციას და რეფორმების მიმდინარეობას. ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით ხდება დახმარების იმ მიმართულებათა დადგენა, რომელსაც "ტასისი" დააფინანსებს, შემდეგ კი პრაქტიკულად განახორციელებს დახმარების ღონისძიებებს საქართველოს პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად.

ბოლო ანალიზი გაკეთდა 1993 წლის დეკემბერში, იგი დაედო საფუძვლად 1994-95 წლების სამოქმედო პროგრამას. ქვემოთ მოცემულია მოკლე მიმოხილვა ამ პროგრამისა, რომელიც სამ პრიორიტეტულ მიმართულებას მოიცავს.

კვების პროდუქტების წარმოება და განაწილება
(1.8 მლნ. ეკიუ)

სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს გაეწევა საკონსულტაციო დახმარება დარგობრივი • პოლიტიკის სტრუქტურის, პრივატიზაციასა და მარკეტინგის საკითხებში.

ეს პროექტი ლოგიკური გაგრძელებაა 1992-93 წლებში განხორციელებული დახმარებისა, რომელიც, კერძოდ, ეხებოდა 1) სახელმწიფო მეურნეობების რეორგანიზაციას და 2) ხორცის, რძის, ბოსტნეულის და საქონლის საკვების წარმოების და მარკეტინგის შესწავლას. გარდა ამისა, მალე უნდა ამოქმედდეს დახმარების ორი ადრინდელი პროექტი: 1) სასოფლო-სამეურნეო სამსახურების რეორგანიზაცია და 2) კვების პროდუქტებით საცალო ვაჭრობის რეორგანიზაცია. პირველის მიმღები მხარეა სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტრო, მეორისა- " ცეკავშირი ". ორივე პროექტი დაფინანსდა 1992 წლის ბიუჯეტიდან.

2. *პრივატიზაცია და რესტრუქტურიზაცია*
(1.8 მლნ. ეკიუ)

1994/95 წლების პროგრამაშია დახმარება ცალკეული საწარმოებისათვის რესტრუქტურიზაციის, ლიკვიდაციის და ანტიმონოპოლიური პოლიტიკის საკითხებში. ეს პროექტიც გაგრძელება იქნება იმ დახმარებისა, რაც წინა წლებში დაიგეგმა და ამჟამად სრულდება- კერძოდ ევროპული ექსპერტები ფირმა " **Deloitte and Touche** "-დან ეხმარებიან სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს პრივატიზაციის აქტუალურ საკითხებში.

მცირე და საშუალო საწარმოთა განვითარება
(1.8 მლნ. ეკიუ)

წელს დაიწყება მცირე ბიზნესის ხელშემწყობი ცენტრების ჩამოყალიბება ქუთაისში. ამჟამად ევროპელი ექსპერტები მუშაობენ ანალოგიური სტრუქტურების შესაქმნელად თბილისში, "ტექინფორმისა " და სავაჭრო-სამრეწველო პალატის სპეციალისტებთან ერთად.

3. ადამიანთა რესურსების განვითარება
(1.8 მლნ. ეკიუ)

ამ სექტორში 1992-93 წელს ორი პროექტი დაიგეგმა და დაფინანსდა. ერთია სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფა, რომელიც ამჟამად ხორციელდება შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში. შემსრულებელია ინგლისის ფირმა **NICO** . მეორე პროექტია ბიზნესის მართვის მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება. ისიც ამჟამად ხორციელდება თბილისის ბიზნესის სკოლაში. შემსრულებელია გერმანიის ფირმა **AWZ** .

1994/95 წლებში დაგეგმილია ერთი პროექტი- სამოქალაქო სამსახურის რეფორმა და შესაბამისი კადრების მომზადება. მიმღები მხარეა სახელმწიფოს მეთაურის აპარატი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მენეჯმენტის ინსტიტუტთან ერთად.

"ტასისის" საქმიანობა საქართველოში არ ამოიწურება მხოლოდ ამ ჩამონათვალით. განხორციელების სტადიაშია ბევრი სხვა პროექტი ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სტატისტიკის სფეროში, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონალური.

პროგრამა "ტასისი" არა მარტო ახორციელებს საქართველოსათვის საჭირო გადაუდებელ დახმარებას, იგი საფუძველს უყრის მის სამომავლო განვითარება-აყვავებას.

ეკიუ-ევროპული ფულის ერთეული, რომელიც შეესაბამება $1.1US გამოიყენება მხოლოდ ეკონომიკური საანგარიშსწორებო ოპერაციებისათვის.

ქართველი ველოსიპედისტი ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც დედამიწის გარშემო მოგზაურობს, ირანს გაემგზავრა

55 წლის ქართველი ენთუზიასტი ჯუმბერ ლეჟავა, რომელიც ველოსიპედით მოგზაურობს დედამიწის გარშემო, კვირას ბორნით ქუვეიტიდან ირანს გაემგზავრა. სპარსეთის ყურის აღმოსავლეთი სანაპიროდან იგი ჩავა თეირანში, რომლის დათვალიერების შემდეგ კურსს ისლამაბადისაკენ აიღებს, შემდეგ დელში გაემგზავრება.

ჯ. ლეჟავა, რომელმაც ქალაქი რუსთავი შარშან 13 აგვისტოს დატოვა, ქუვეითში ჩავიდა აპრილის დამლევს. მან დაძლია 23 ათასი კილომეტრი თურქეთის, კვიპროსის, ლიბანის, სირიის, იორდანიის, ეგვიპტის, იემენის, ომანის სასულთნოს, არაბთა გაერთიანებული საამიროების, კატარისა და ბაჰრეინის გზებით. არაბეთის ნახევარკუნძულის ქვეყნებს შორის იგი მარტო საუდის არაბეთს ვერ ეწვია, რომელმაც ველოსიპედისტს ვიზაზე უარი უთხრა. ერაყშიც ვერ ჩავიდა ვიზის პრობლემათა გამო. ჯ. ლეჟავა იმედოვნებს, რომ მომდევნო ცდაზე გაუმართლებს და ამ ქვეყნებსაც ეწვევა უკვე ოცდამეერთე საუკუნეში თავისი მსოფლიო მოგზაურობის ფინიშზე, რომელიც უნდა დაამთავროს რუსთაველის პოემიდან აღებული დევიზით „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია".

რონდო

ფეხბურთი

შაბათს ევროპის რამდენიმე ქვეყანაში გაიმართა ეროვნული თასის გათამაშების ფინალური მატჩები:

ინგლისი. „მანჩესტერ იუნაიტედი"-„ჩელსი" 4:0.

გერმანია. „ვერდერი"-„როტ-ვაისი" 3:1.

საფრანგეთი. „ოსერი"-მონპელიე" 3:0.

კარიკატურისტის თვალით



იპოვა თავისი თავი!

ბესიკ ზუბაშვილის ნახატი.

კოლეჯის მასწავლებელს სურს გაიცნოს ქართველი ქალბატონი არა უხნესი 32 წლისა. აუცილებელია ფოტოსურათი. წერილი შეიძლება დაწერილი იყოს ინგლისურად, რუსულად.

მისამართი:
P. O. Box 13317 C/S co 80913 USA

თუ გსურთ თქვენს ოფისში ან სახლში შექმნათ კომფორტული გარემო, შეამციროთ სითბური და ხმაური ზემოქმედება, ფირმა "სპექტრი" გთავაზობთ 2.5 — 3-4-5-6 და 8 მმ-ს სისქის სხვადასხვა ფერის მინას და სარკეს ავეჯის, კარ-ფანჯრისა და ვიტრაჟებისათვის. მაღალი კლასის სპეციალისტები უმოკლეს ვადაში შეასრულებენ თქვენს შეკვეთებს შემდეგ მისამართებზე:
ქეთევან წამებულის გამ. №94 (მეტრო „ისანი")
ყოფილი კ. თ. „ისანის" შენობა. ტელ: 74-27-10
პ. ქავთარაძის ქ. 1-4
(ყოფილი პავლოვის ქუჩის ბოლოში).
ქალაქი რუსთავი, სასტუმრო „რუსთაველი", „საგანეთი".
დიდი პარტიები იყიდება ვადარიცხვით.

ფოტოასლები
უნაღდო ანგარიშსწორებით ნებისმიერი ფორმატის ნაწერ, ნაბეჭდ, ქსეროქსისა და პრინტერის ქაღალდის ადგილზე მიწოდებით.
38-91-64

იყიდება!
1. მაღაზიის დახლები სარკეებითა და განათებით.
2. კონდიციონერი ბკ-1500.
3. გაზ-31-ის ტორპედო და ძრავა.

მისამართი: სასტუმრო «აჭარა», ოთახი 106.
ტელ: 98-53-59, 36-92-36.

ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომერი ექვსგვერდიანია.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.
[illegible]